

საქართველოს
საზოგადოებრივი





I აბა ერთი ჩამოდი, გაგირიგებთ საქმეს! სურათი . . . 322

II ლოცვა და სიზმარი, ლექსი ი. შჭედლიშვილისა . . . 323

III ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს 325

IV მეფე სოლომონ ბრძენი და ქიანქველა. შღვდელ
ბესარიონ ვაშაძისა. 327

V სად დაიმალა ქეთინოს დედოფალა? კუდრაჭასი . . . 330

VI მამლობა (იმერეთში) ვაჩაშან ჩხეიძისა.. . . . 334

VII შინაური ცხოველები (დასასრული შემდეგ) კუდ-
რაჭასი 340

VIII „ჯღანუას“ თავგადასავალი, ზღაპარი (დასასრუ-
ლი) აფ. ნათაძისა 348

IX წერილმანი: გამოცანები, შარადა, ზმა და სხვა. . . 352

X დილა, ლექსი ვ. გორგაძისა 354

XI შვილი თუ იმპერატრიცას გვირგვინი? ისტორიუ-
ლი მოთხრობა (საბერძენეთის ცხოვრებიდან) იფ.
აფხაზიშვილისა 355

XII ალექსანდრე სარაჯიშვილი. ბიოგრაფია. კკ. გ-სა.. 368

XIII მაქსიმე ივანოვი (ლესკოვისა) თარგმანი გ. შად-
რაძისა. 371

XIV დიდებული თეთრი კაცი. ლივინგტონის მოგზა-
ურობა (დასასრული შემდეგ) ან. წერეთლისა . . . 371

ჯეჯილის რედაქციაში ისეიდება ახლათ დაბეჭდილი:

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეყნებისა. (დასურბათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან
სკოლებში სსმარებათ.

===== ფასი 35 კაპ. =====

რედაქცია მოაგონებს ვისაც არა აქვს ფული შემოტა-
ნილი—დააჩქარონ თუ არ უნდათ რომ მოესპოთ ჟურნალის
გამოგზავნა.



საქართველო ნახატებიანი
ქურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპური, გახდი ყანაო.
ი. დ.

ივნისი, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆



აბა, ერთი ჩამოღი, ვაგირიგებთ საქმეს.



ლოცვა და სიზმარი

(გუძღვნი ლალა კანდელაკს).



ფალო, დიდხანს მიცოცს-
ლე
მაძა, დაძმა და დედო, და
მშვიდობითა ჭფარავდე,
ცავ, ვარსკვლავებით ფენი-
ლო.

დიდხანს აცოცსლე ქეთი-
ნო,

ნიკოლოზიანთ ბაბუცა,
უველას აშორე ეშმაკი
დღისითაცა და ღამეცა...

და შემდეგ ტკბილათ ჩა-
სთვლიძა,

მშვიდათ დასუჯა თვალები,

სიზმარმაც ფართოთ გაუღო
თვისი ფერხდი კარები:

სამოთხის უვაჟილებსა ჭკრეუს,
იღლიას ივსებს მისითა,—
დედას და მამას მიუტანს
იგი მეორე დღისითა.

ოქროს ჩიტები ფრინავენ,
გალობენ სმითა ტკბილითა,
მათ ერთვის ანგელოზთა სმაც
საღამოთი და დილითა.

8647
49898

საქართველო
ენციკლოპედია
გეორგიანული
ენციკლოპედია

საქართველოს
ენციკლოპედია




გარს ეწვევიან ფრინველნი,
 მის ხელებზედაც სხდებიან,
 ფრთას გადუსვამენ ალერსით
 და ისევ გაფრინდებიან.

საკენკსა უფროს ამ ჩიტების,
 მოპატოიების ზარს რეკენ,
 მოდიან ვეულა ფრინველნი
 და ძნარულათა ჰკენკენ.

ხან ერთს გადუსვამს ზურგზე ხელს,
 ხანაც მეორე ფრინველსა,
 სასე იმგუარათ უბრწეინავს,
 ვით აღდგომა დღეს მწირველსა.

და ჰხარობს წმინდა სანასავს,
 სისაღისითა გულსა ჰფერს,
 ჰხარობს, რომ სვალე უაძობს.
 თავის დედ-მამას ვეულაფერს.

ი. მჭედლიშვილი..



48801



ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს



რთ ჰაწაწინა სახლში დედა-
თაკვი ცხოვრობდა. მას ისე
ჭკონდა ბინა მოწეობილი, რო-
გორც ჩვენ ადაძიანებს. წარ-
მოიდგინეთ ერთი დიდი სარკვე-
კი ჭკონდათ. ჩვენი სარკის ჰა-
ტარა ნატეხი თაკვებისთვის დიდ
სარკეთ გამოდგა. დედა თაკვს
ჭეუვდა ერთი წრუწუნა, ის დი-
დი ეშმაკი და გიჟმაჟი იყო.

ერთხელ დედა-თაკვი სხვაგან წავიდა. წრუწუნა
შეიპარა საკუჭნაოში და ხალებს სლანაჟა დაუწყო. დე-
და-თაკვი რომ შინ დაბრუნდა შესედა შვილს და
უთხრა:

— შე წუწკო შენა, ხალები რათ ავიტლავია!

— ღმერთმანი, დედილო, ხალები თვალითაც არ
მინახავს.

დედამ მატეუარა შვილი, სარკესთან მიიყვანა და
უთხრა:

— აბა, ერთი სარკეში ჩაიხედე.

წრუწუნამ ჩაიხედა სარკეში და დაინახა, რომ
ცხვირზე და შუბლზე ხალები ეცხო. რამდენიმე დღის
შემდეგ დედა თაკვი ისევ სხვაგან წავიდა და წრუ-
წუნაც ადრინდელივით საკუჭნაოს მიეპარა. დედა რომ



შან დაბრუნდა წრუწუნამ, ვითომც არაფერიაო, დედას უთხრა:

— დედილო, ესლა კი ხელი არაფრისთვის მიხლია. სულ ჭკვიანათ ვიუხვი.

— ძერე სარკეში არ ჩავიხედინა? დაეკითხა დედა.

— ვაიძე, მურაბა სომ არ დამჩენია გაუწმენდელი, წამოიძახა წრუწუნამ და ამითი თითონვე გასცა თავის თავი.

ესლა კი აღარ მოუთმინა დედამ და თავისი წრუწკი შვილი ერთი კარგა მიბერტვა.





ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

მეფე სოლომონ ბრძენი და

ჭიანჭველა

(არაკი)



რთხელ სოლომონ მეფე თავის ბაღში დასეირნობდა; ბაღის ერთ ვუროში მეფემ შეამჩნია ერთი პატარა მიწის ორმო, რომელიც ძთლათ სავსე იყო ჭიანჭველებითა; ჭიანჭველები დიდ ფაციფუცში და მოძრაობაში იყვნენ. სოლომონ მეფე დაანცქერდა ორმოს და შესძახა ჭიანჭველებსა:

— გამარჯობა თქვენი, მწერებო.

ორმოდან ამოცოცდა ერთი ეველასზე უფროსი დედა — ჭიანჭველა, მეფეს თავდაბლათ სალაში მისცა და მადლობა მოასსენა; მეფემ ჰკითხა დედაჭიანჭველას:

— რატომ ხართ ფაციფუცში?

ჭიანჭველამ უპასუხა: „მე პატარა მწერი ვარ, აქედან თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლია, ამიუვანე ხელში, ხელის გულზე დამისვი და ისე გემუსაიფები“.

მეფემ დაისვა ჭიანჭველა ხელის გულზე და ისიც მოუყვა ამბავს:



საქართველოს
ქრონიკები

— ჩვენ ქორწილი გვაქვს, დედოფალი მკვრივად
ნეთ და სიძე თავისი ძაღრებით ქეიფობს.

მეფემ გულიანათ გაიცინა და უთხრა თავაქედურა
ჭიანჭველას:

— ვინ ჭიანჭველა და ვინ ქორწილი? ჯერ თქვენ
რა ხართ და მერე თქვენი ქორწინება აბა რაღა იქ-
ნება?

— თამამათ მოგასსენებთ, დიდებულო მეფე, ჩვენ
კარგათ ვიცით, რომ ჩვენ სამეფოში, ზოგიერთ ადამიან-
ებსზე უფრო ბევრათ ძალა ვსდგევართ: ადამიანები
ერთმანეთსა ჰბეჭენ, მტრობენ, ქურდობენ, ავახაკო-
ბენ, ერთმანეთს ჯაშუშობენ, ღალატობენ და ბოლოს
სიბოროტეში და ცუდკაცობაში ამოსდით სული;
ჭიანჭველებში კი ასეთი ბიწიერება არასოდესაც არ
არის: ჩვენ მოსვენებით ვშრომობთ, ჩვენის ოფლით
პურსა ვსჭამთ, სხვას არ ვაწუხებთ, ჩვენში არც შუ-
რია, არც მტრობაა, არც მკვლელობაა, არც ჯაშუშო-
ბაა და არც ქურდობაა... მეფე ჩაფიქრდა და ბრძანა:

— ამას ეოველისფერს მართაღს ამბობ, ჩემო
ჭიანჭველა, მაგრამ ადამიანს თუ ბევრი სიგლასე და
სიავაკაცე შეუძლია, იმავე დროს სიკეთეც და სათნო-
ებაც კი შეუძლია და თქვენ კი ამ ნიჭს მოკლებულნი
ხართ.

ჭიანჭველამ ამაზე მოასსენა:

— არ გეწინოს, დიდებულო მეფე, კადნიერებით
მოგასსენებთ, რაც უნდა შედავოთ, დაგიმტკიცებთ,
რომ ჩვენ უმნიშვნელო ზატარა მწერები თქვენ ქვე-
შეგრომ ადამიანებსზე ძალა ვსდგევართ.

— აბა მითხარი, ჭიანჭველა, რითი ხართ ადამიანზე მალლა?

ჭიანჭველამ მოახსენა მეფეს:

— მე ხელის გულზე გიზივარ და ისრე გემუსაიფები, ადამიანი კი ვერასოდეს ვერ ელირსება შენ ხელის გულზე დაჯდომას, აძასთანავე, ადამიანები როცა კვდებიან, ისინი ჩვენი სარჩო და ლუკმა არიან, შემოვესვევით ტანზე სამარეში და ძვლიან-სორციან-კანიანა შევხრავთ და შევჭამთ, ჩვენ კი ვერც ცოცხალს შეგვჭამენ და ვერც მკვდარს...

ბრძენმა მეფემ დასვა ძირს ჭიანჭველა და მწარეთ ჩაფიქრდა.

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.



სად დაიძალა ქეთინოს დედოფალი?



დეს ქეთინოს დაბადების დღეა. სუთი წლისა შესრულდა. დედამ მშვიენიერი დედოფალა მიულოცა. ღმერთო, როგორ განსარებულია ქეთინო. დედოფალს სსხელიც დაარქვა: „კოსტა“. მთელი დღე „კოსტას“ ხელიდან არ უშვებს, სადილის

და ჩანის დროსაც კი ძუხლებზე უხის. თავის საუვარელ ლეკვებს უურძას და გიშერას ესლა შედაც აღარ უუურებს. დღეს ძალუა ფეფომ მშვიენიერი სურათებიანი წიგნი უეიდა, დიდედამ ჰატარა თეთრი ცხვარი მოუტანა, გაძდელმა ირინემ მიართვა ჰატარა ქლარუნებიანი ჯამბაზი, მაგრამ ქეთინოს დედოფალსთანა არაფერი ასარებს.

— ქეთინო, სტუმარი მოგივიდა, უთხრა გაძდელმა და ოთახში ჰატარა ნუცა შეუევანა.

— რა ლაძასი დედოფალა, წაშოიძასა ნუცამ, როგორც კი „კოსტა“ დაინახა.

— დედამ მოძილოცა, „კოსტა“ დავარქვი. წამოდი სტუმრობიანა ვითაძაშოთ, და ორთავენი სსსტუმრო ოთახისაკენ გაექანენ.



ქეთინო ვითომ „კოსტას“ დედა იყო, ნუცა მკორე დედოფალას დედა და ერთმანერთან თავიანთი შვილებით სტუმრათ მიდი-მოდიოდნენ, წვეულებას მართავდნენ.

საღამოთი ნუცა რომ შინ წავიდა ქეთინოს კინწი მოსწუდა, ძალიან მოქანცული იყო.

— ესლა კი ძილის დროა, უთხრა გამდელმა ქეთინოს.

— მერე ჩემ დედოფალას რაღა ვუყო?

— დედოფალაც დაიძინებს. დანაშვიდა გამდელმა.

— მე ჩემთან დავაწვენ, სომ შეიძლება? შეხვეწა ქეთინო.

გამდელმა მოუწვინა გვერდით ქეთინოს თავისი „კოსტა“, მაგრამ როგორც კი ქეთინოს ჩაეძინა, გამდელმა დედოფალა კოლოფში ჩადო, რომ ქეთინოს ძილში არ გაეტყნა.

ქეთინოს კი მოსვენებით ეძინა და სიზმარში თავისი „კოსტა“ ელანდებოდა.

დილა ადრინან, სანამ გამდელი ჰურის საჭმელ ოთახში უფროსს ბავშვებს ჩაის ასმევდა, ქეთინოს ეწვიენ მისი ლეკვები: ეურმა და გიძერა. ამათ უცნო კოლოფი რომ შეაძინეს, მივარდნენ, სუნვა დაუწვეს, კოლოფის თავი გადავარდა და ლეკვებმა რომ დედოფალა დაინახეს თამაშობა მოუნდათ, ეურმა სწვდა დედოფალას, იატაკზე გადმოათრია. გიძერამ დაუწყო თავისკენ წევა. ატედა ერთი აურზაური, მაგრამ ქეთინოს არ გამოეღვიძა, ტებილათ ეძინა. მისი საუვარელი „კოსტა“ კი დიდ უბედურებაში ჩავარდა,



ცხვირ-პირი სულ დაუმტვრიეს, ცალი ფეხი ტანს
ქვეშ შეაგდეს, ხელები აქეთ-იქით ეგდო, კაბა სომ
სულ ნაფლეთ-ნაფლეთათ დაგლიჯეს.

გამდელი რომ ოთახში შევიდა და ეს ამბავი ნა-
სა ელდა ეცა. ლეკვები მაშინვე ოთახიდან გამოყარა,
დედოფალას ნაკლეჯები აკრიფა და ქალბატონთან
გაქანდა.

— ქალბატონო, ქალბატონო, რა მოხდა, ჩვენ
სამაგელ ლეკვებს დედოფალა სულ დაუფლეთიათ. რა
ეუეთ, ქეთინო სომ ტირილით მოკვდება.

ამათ გადასწევტეს, რომ დედოფალა ხელ-ასლათ
უნდა ევიდნათ ქეთინოსთვის და ის იყო გამდელი
ანიჭებდა მალაზიაში წასვლას, რომ ქეთინოს სმა
შემოესმა.

— ირინე, არა მძინავს, ჩამაცვი ტანთ.

— ვაიმე გაჭლვიძებია! წამოიძახა გამდელმა და
ქეთინოსკენ გაეშურა.

— სად არის ჩემი „კოსტა“? წამოიძახა ქეთი-
ნომ.


— შენი „კოსტა“ ალბათ სადმე დაგეძალა,—
უთხრა დედამ,— რა ეშმაკი უოფილა. აბა წამოსტი
და მოძებნე.

ქეთინოს თვალებზე ცრემლები წამოადგა.

— სამაგელი „კოსტა“ სად წავიდა!

— ნუ ტირი, გენაცვალე, უთხრა გამდელმა,—
წამოსტი ერთი მარდათ და წავიდეთ მოვძებნოთ, ვინ
იცის ისევ თავის მალაზიაში გაგვეპარა.

ქეთინო სწრაფლათ წამოსტა, ერთ წამს ტანთ



ჩაიცვამ, რძე დალია და ისა და გამდელი „კოსტას“
სამებნელათ წავიდენ. ქუჩაში ქეთინო სულ აქეთოქით
იხედებოდა, თავის „კოსტას“ ეძებდა, ხომ არსად და-
სეიწნობსო. გამდელმა ქეთინო იმ ძალაზიაში მიი-
უვანა, სადაც „კოსტა“ იყო ნაყიდი.

— აბა, ჩემო ქეთინო, მოძებნე შენი „კოსტა“,
უთუოდ აქ მიიძალეობდა.

სანამ ქეთინო თავის „კოსტას“ დაეძებდა, გამ-
დელმა ჩუმათ გამოიდველს უამბო რაშიაც იყო საქმე
და სთხოვა, რომ სწორედ იმისთანა დედოფალა ეჩვენ-
ებინა უმაწვილისთვის.

გამოიდველმაც სწორედ იმის ცალი დედოფალა
ქეთინოს წინ დაუდო.

— აგერ სად ეოფილა ჩემი „კოსტა“! ხედავთ,
სად დამალულა! მე კი რამდენს გეძებდი, წამოიუვი-
რა ქეთინომ.

მან აიუვანა დედოფალა ხელში, გულში ჩაიკრა
და ალერსიანათ რაღაცას ჩასჩურჩულებდა, გამდელმა
ჩუმათ გამოიდველს ფული გადასცა და განარებული
ქეთინო შინ წამოიუვანა.

დედან ძალიან გაეხარდა თავისი ქეთინო რომ
დედოფალით ხელში, მსიარული სახით დაინახა.

(თარგმანი)

კურაჭა.





მამლიბა

(ზემო იმერეთში)



რეკლე კარგი მუხა კაცი არის. მისი ცოლიც, ელისაბედი, ძალიან მარჯვე ქალი იყო. თუძცა წვრილ შვილით სავსეა: — ოთხი ქალი და სამი ვაჟი, მაგრამ კარგათ ცხოვრობენ: ხსნილში თითქმის ნიადაგ ქათმის სორცი, მარწვაში ღობიო, ფლავი და სხვა ბოსტნეულობა გამოუღეველი აქვსთ.

ელისაბედს ძალიან ემარჯვება ქათმის მოძენება; იმოდენი ქათამი ხუთ მის მესობელსაც ერთად არ ეეოლება. ამიტომაცაა, რომ მის ქმარ-შვილს თითქმის ეოველ დღე ხსნილში ქათმის სორცი აქვსთ და მის მესობლებს კი — კვირამაც თუ შესვდებათ ერთჯერ იგემონ სორცი. ელისაბედს კარგა მოსრდილი ორ-თვალისი სახლი უდგია, რომელშიაც განაფსულსე ერთი თვალი დედლებისათვის აქვს დათმობილი. სანამღი წიწილები ცოტა არ წამოფრინდებიან იმ სახლში ჰეავს და შეძდეკ კი საქათმეში გადასახლებს ხოლმე. ქრისტეობის თვეში ერეკლემ თავისი სახლის ერთი თვალი სოფლის მკუდელს მიაქირავა და თვითონ მეორე თვალში მოთავსდა, იმ წელს



ელისაბედმა ქვემო ჰალატი დაცალა, დაასუფთავა და დაინახა
 დედლები იქ დააჯინა გასაფხულზე. ეს ჰალატი არის
 სახლს ქვემ მიწაში, სულ ორ ალაბზე ცოტა მეტი
 სიმაღლით. კედლები, თუშცა ერთი პირი აკურითაა
 მიშენებული მიწაზე, მაგრამ ძმრალი არასოდეს არ
 არის—მიწიდან აწეება სინესტე და გამოჟრინავს
 აგურში, ძირს იატაკი მიწაა, კარგათ მოსწორებული
 და ეოველთვის სველი.

ელისაბედმა ამ ხანობით უფრო მეტი დედლებს
 დააჯინა კვერცხებზე, რადგანაც მის სახლში ჰა-
 ტივისცემი ძველი დედა, რომელსაც უთუოდ ჰა-
 ტივისცემა უნდოდა.

კვირიკობის-თვე (კათათვე) ილეოდა. ორშაბათი
 დილა იყო, როდესაც ელისაბედი მის მეზობელ ქალს,
 ივლიტეს ესტუმრა. ელისაბედი მეზობლებში ძალიან
 შვირათ დადიოდა, ან კი როდის უნდა წასულიყო,
 დილიდან საღამომდე ერთი საათი მოცალეობა არა ჰქონ-
 და. დილით ადრე ქათმისა და ძროხებისთვის უნდა
 მოეგლო, შემდეგ სადილი უნდა მოემსადებინა; სადილს
 რომ გააკეთებდა, თუ მოზრდილი შვილი სახლში არა
 ჰქუავდა, თვითონ უნდა მიეტანა სადილი ქმრისთვის,
 იქიდან დაბრუნდებოდა სახქაროთ, კრუსებს სათითოდ
 თვალს გადაავლებდა, ბოსტანში ბალახს გამოთხრი-
 და, გადასარგავს გადარგავდა, ხბოს მოვლა უნდოდა,
 გოჭებსაც მისედა უნდოდა და სხვა რამდონი ამის-
 თანა საქმე აქვს დედა-კაცს სახლში, ვინ მოსთვლის
 და ამასობაში კიდევაც შემოადამდებოდა. მერე ისევ
 ძროხები, ღორები, ქათმები, წყალი, შუა, ღვინო,



ვასძაძი და სსვა. ამიტომ იყო, რომ ელისაბედი-მეფისა
 ზობლისას მისასულელათ ვერ ცლილობდა.

ივლიტამ რომ ელისაბედი დაინახა, ძალიან გა-
 უკვირდა. ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ ივლიტამ
 უთხრა: „არ მიკვირს, ელისაბედ, რომ მოიცალე ჩვენ
 სანახავათ!“.

— რაღა ჩემი წიწილების ქრიალი ქართობს სა-
 ხლში, ჩემო ივლიტე, აწი სსვის კარებზე უნდა ვიან-
 რო, ჩემს სახლში რაღა გამაჩერებს; დავიდუპე! წრე-
 ულს ჩემს ბარობაზე ერთი სინსილა ქათამი აღარ
 იქნება; რა უნდა ვუთხრა ამოდენა წვრილ-მვილს, რა-
 და ვაჭამო?! ან მოკვარეს რაღათი დავსვდე, ან მტერს?!

— უი დამიდგეს თვალები, გაიკვირება ივლიტემ,
 ქალო, შენ და უქათმობა განა შეიძლება! რაღა დავი-
 ჯერო, შენ ახლა ასი ფრთა მაინც დასაკლავი ქათ-
 მები არა გუაგდეს! რა დაგეძარათა?

— წუალს და კლდეს შეეჩივი, ასი კი არა, ნე-
 ტა ოცი ფრთა ქათამი გამეზრდებოდეს სულ და მეტს
 აღარ დავუტებ. სწორედ ღვთაის წერომა არის წელს
 ჩემს თავზე: რამდონი დედალი დავაჯინე— მებათედიც
 არ გამოტყეს, ისინიც სულ კუტი წიწილები გამო-
 ვიდენ. ასე, ათი დედლის წიწილში ოცდა ხუთი ზესე
 აღარ დადის, სულ დაისოცენ: კუტი წიწილებს ან კი
 რა გაზრდიდა!

— რას ამბობ, ქალო, კუტები იჩეკებიან!?

— სულ კუტები იჩეკება და მეტი ნაწილი კვერ-
 ცხებისა სულ ლაუდება, ან წიწილი კვერცხშივე იგუ-



დება. მიკვირს და გამკვირვებია, რა უნდა იყოს ჩემი
შეხი!

— ერთი ის მიტხარო, მამლობას სომ ისდი
სოლმე?“.

— მამლობა, ეს სამი წელიწადია, არ გადამიხდია.

— უი! დამიდგეს თვალები; შენ რომ გონიერი
ადამიანი ხარ, რატომ ვერ მიხვდი ამას? თაროს ან-
გელოზი გაგიჯავრებია. შესამე წელს კი არა, ხან
და ხან შეათე წელს გაიხსენებს. ვენაცალე მის სა-
ხელს! ეგ კი არა, ჩემი მამიდაშვილისას, არა თუ
ქათმები, ბავშვებიც დააკუტა, ძროხა გაუშრო, ერთი
საუღლე ხარი კიდევაც მოუკლა. მტრისას გაჯავრდა
თაროს ანგელოზი; დასლოცა მისი სახელი, გულის
მობრუნებაც ძალე იცის, თუ გულის წმიდით შე-
ვედრები და მამლობას გადაუხდი. სწორეთ თა-
როს ანგელოზის საქმეა; შეგეწიოს მისი მადლი.
ჩემი მულის სოფელში თურმე ერთმა ძღვედელმა
ცოლს მამლობა აღარ გადაახდევინა ერთ წელი-
წადს — ეგეო და თქვენი, ქალების მოგონილიაო, თა-
რემ თაროს ანგელოზი გაგონილაო! — მეორე წელს
მის ბარობაზე იმ დალოცვილს აღარც ორშუენი,
აღარც ოთხშუენი აღარა გაუშვია რა გაუჟლეტელი.
მოგეცა ღვთის წებლობა, მაშინ ძღვედელმა იკადრა
თაროს წინ დაჩოქება და ვედრება თაროს ანგელო-
ზისა; ცოლსაც მამლობა გადაახდევინა და სუეველა-
ფერი გამოუბრუნდა. ასე მოიქეცი შენც; ახლავე გა-
დაინადე მამლობა. ჯერ კვირიკობის თვე არ გასუ-
ლა, წმიდის გულით შევედრე, დაილოცოს მისი

19898

საქართველოს

საქართველოს



სახელი და ისევ მოიბრუნებს გულს შენსკენ, მაშინვე
ხომ გეავს?

— ძამალი როგორ არა შეავს. მე უბედურს, რა
ღმერთი გაძიწურა, რომ ეს სრულიად არ მომაგონა
და ამ დასაძიწებელ თავში.

ელისაბედი რომ სახლში დაბრუნდა, მაშინვე ქმა-
რი წისკვილში გაგზავნა ჰუროის დასაფუკავათ. საღამოს
მამლობა გადაიხადა: დააცხო კარგი ეველიანი ჰუროის
ხაჭაპურები იმდენი, რამდენი სულიც იყვენ სახლში;
დააკვლევენა ძამალი, მოხარბა კარგათ. ეველა ესენი
დააღაგა ერთ გობზე და შეღვა თაროში. ქმარშვილი
გარეთ გარეკა, ჩაიკეტა მარტოთ სახლის კარები, და-
ინოქა თაროს წინ და შეევედრა თაროს ანგელოზს:
„მოწეალო, წმიდო ანგელოზო მარია! იეავ მუა-
რველი ჩემი ოჯახისა, მოძიშენე ორ-ფეხი, ოთხფე-
ხი, მშვიდობა მოგვეც კაცის სულს, ნუ მოაკლებ
ჩვენს ოჯახს ეველაფერში ბარაქას; თუ რაიმე შეგ-
ცოდე, შემიწირე უცოდინარობის ბარობაზე და მანა-
ტიე. იეავ მოწეალე ჩემი, შენ გევედრები, წმიდო
ანგელოზო მარია! (ღუთის ხსენება ამ დროს არ
შეიძლება, რადგანაც, ანგელოზს ეწეინებაო).


როდესაც მთელი სახლობა ვახშამს შამოუჯდა,
გახარებული ბავშვები ერთმანეთს ეუბნებოდენ: „ვენა-
ცვალე იმ თაროს ანგელოზს; რომ იმას არა, ამის-
თანა მთელ ხაჭაპურს და ამოდენა ეველით გატე-
ნილს ვინ მოგვეცემაო“.

ამ საღამოს ელისაბედს ძმის წულიც ეწვია; იმას
ცალკე დაუკლა ქათამი, რადგანაც შეწირული მამლის

ხორცი შინაურებს გარდა სხვას, გარეულს, არ ეჭმებოდა.

მეორე წელს მისი სახლიდან ძველი გადავიდა. ელისაბედა ჩვეულებრივად გაზაფხულზე ნახევარი სახლი დედლებს დაუთმო. ამის შემდეგ მისი ეზო ქათმებით არის გადაფარული და მაძლობასაც ვეღარავინ ასწრებს: კვირიკობის თვე (კათაოვე) რომ დადგება, ჰირველ ორშაბათს ისე ეკებება მთელი სახლობა მაძლობას, როგორც აღდგომას. ბავშვები კი ეველასე უფრო შეჭხარაინ ამ დღეს. არც ელისაბედს და არც მის ქმარს ჯერ ახრათაც არ მოსვლიათ, რომ მიხეზი წიწილების დახოცვისა იუო სინესტე მისი ჰალატისა და არა ანგელოზის რისხვა.

ყ. ჩხვიძე.





შინაური ცხოველები



სვა და სსვა ქვეუნი სალს ცხოველთა შორის ჭეხვს თავისი მეკობრები, მაგრამ ამ ცხოველთა შორის აღმძიანებს ბევრი მტრებიცა ჭეხვს, როგორათაც: ლომი, ვეფხვი, მგელი, დათვი და სსვა.

ერთ დროს, როდესაც დედა-მარწახე მარტო ცხოველები ცხოვრობდნ: არც მამაკაცი იყო, არც დედაკაცი, არც ბავშვები, მაშინ ცხოველები გარეული იყვნ. გაჩნდა აღმძიანი და თავისი ჭკუა-გონებით დაიმონავა ცხოველთა საშეუო. თავისი მარჯვენით გააკეთა თოფ-იარაღი და იმისივე წებლობით გარეული ნადირი დაიშინაურა. ახლა მთელი დედა-მარწა მოყენილსა შინაური ცხოველებით—მათ შორის არის: ცხენი, ხარი, ვირი, კამეჩი, აქლეძი, ირემი და სხვა. ისინი ჩვენ გმველიან მუშაობაში და სშირათ გაჭირებისაგანაც გვიხსნიან.

ამ ოთხსადა წლის წინათ გამოჩენილმა ისპანიელმა მეომარმა კორტესმა დაიწყო ამერიკის ერთი ქვეყანა, სასელდობრ „მეკსიკა“. მეკსიკის მცხოვრებ-



ლები დიდი მახერხებელი ხალხი იყო, იცოდა წულერი მოკსაურობა, ლამაზი შენობების აშენება, ქვითკირის ეკლესიების აგება, ხელოვნურათ ოქროს სამკაულის გაკეთება და სხვა.


მაგრამ ამ ხალხს თავის დღეში არ ენახა არც ცხენი და არც ვირი. მათ, როდესაც უნდოდათ სადმე წასვლა, უნდა ფეხით ევლოთ. არც ჩასაჯდომი, არც ცხენი არ მოეპოვებოდათ. რკინის გზა კი მაშინ არ იყო ჯერ შემოღებული. როდესაც ჰირველათ ისპანიელებმა მექსიკაში ვირი და ცხენი მიიყვანეს, იქაური ხალხი სულ გადირობა. იმათ ეგონათ, რომ ამაზე საკვირველი რამე დედა-მიწაზე არა იყო რა!

რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არა გვეყოლოდა ჩვენი მეგობრები: ცხენი, ვირი, აქლემი, სპილო, ხარი, ძროხა და სხვა. იმ ხანში, სანამ მატარებლებს და ავტომობილებს გამოიგონებდნენ ადამიანებს შეელოდნენ შინაური ცხოველები, ისინი გვიკეთებდნენ ეველა საქმეებს, რასაც არ გასწავდებოდა ადამიანის მარჯვენა. ესლაც არის ისეთი კუთხეები დედა-მიწაზე, სადაც მატარებლები და ავტომობილები ჯერ-ჯერობით არ არი შემოღებული. ამ ადგილებში ცხენები, აქლემები, ძაღლები, სპილოები, ხარები და სხვები გადასულ-გადმოსვლაში მათ მაგივრობას გვიწევენ. მაგალითათ უდაბნოებში მოკსაურობას აქლემის გარდა ვერც ერთი ცხოველი ვერ შესძლებს. ეინულეთში კი ძაღლის გარდა მარხილით ხალხს ვერაზინ ატარებს.

კამბეჩი ჰირველათ ინდოეთში დაიშინაურეს. გუ-



თანში აბამდენ, მისი საშუალებით ურძით ძძობენ. თი გადაჭქონდათ, ზედაც შეჯდებოდენ; ინდოეთში, ეგვიპტეში და მერე ევროპაშიაც შემოიღეს მითი სარგებლობა. და აქამდისაც მას უმოწეალოთ ამუშავენ. გარეული კამბეჩი ძალიან ბრახიანი და აფთარნი არის, როგორც გამშაგებული ლომი, ისე დაეცემა ადამიანს. თუ გააბრახებთ, მაშინ ვეფხსაც კი ეშინია მისი. ის გაცილებით ღონიერია შინაურ კამბეჩზე.



ცხენი ერთი საუკეთესო მეგობართანაა ჩვენი. თითქმის ეგელა შინაურ ცხოველებს ფეხებზე ან მაგარი ჩლიქები აქვთ, ან ჰრტეელი, განიერი, ბრჭყალები. ამიტომაც ისინი უფრო ადვილათ ზიდავენ სოლმე ძძობე ტვირთს. წინეთ ცხენს, როგორც ჩვენსუთი თითი ება. სანდასან ესლაც კვიცები იბადებიან რამდენიმე ჩლიქებით. ჩვეულებრივ კი ცხენს ერთი ჩლიქი აქვს, რომელზედაც რკინის ნალს აკრამენ, რომ ჩლიქი ბევრი სიარულით ქვიან ადგილებზე ძალე არ გაუფუჭდეს. გარეული ცხენი სულ სხვანაირ-



რა იყო, ისეთი ლამაზი არა, როგორც ძინაური, ფაფარი მოკლე, მაგარი და სქელი ჭქონდა, კუდი წვრილი, როგორც ვიწ. ხალხი მაშინ გარეული იყო, იქნება ძამუნსე ბევრითაც არ იყო ჭკვიანი, მაგრამ იმდენი მოხერხება და მიხვედრა კი ჭქონდათ, რომ ძალღი დაძინაურეს და ძაღლით დაიწვეს ნადირობა გარეულ ცხენებსე. ცხენებსე ჯერ საჭმელათ ნადირობდენ სოღმე და მერე კი მოძინაურეს და ამუშავებდენ: ტვირთს ახიდვინებდენ და თითონაც ზედ სსდებოდენ. ძალიან ბევრმა წლებმა განვლეს, სანამ ადამიანი ეტლს გამოიგონებდა და შეაბამდა შიგ ცხენს. იმ დროს, გზები სულ არ ვარგოდა და ამიტომ მოგზაურობა მეტადრე რაჲმე ტვირთით, ძალიან ძნელი იყო. ცხენი კაი მოვლით და ფუფუნებაში ყოფნით თან და თან ლამაზდებოდა. როდესაც ევროპაში მოიყვანეს საუცხოო არაბული ცხენები, მაშინ დაიწვეს საუკეთესო ჯიშის ცხენების აღზრდა, ერთ-ერთი ამ საუკეთესო ჯიშთაგანი არის „ორლოვის ბედაურები“. ესლა ჩვენში რაჲმოდენიმე ჯიშის ცხენები არიან. ერთი არის დიდი, ღონიერი, სანაღონის მზიდველი, გაძძლე ცხენი, რომელსაც ძალიან დიდი ტვირთის ტარება შეუძლიან. მეორე არის ცოტა ამაზე სუბუქი ცხენი, რომელიც სიწიბილით მარდია. მესამე არის საჯდომი ცხენი, რომელსაც ძალიან დიდხანს შეუძლია სიარული და ცხენოსანი სრამებს და ჯობეებს ადვილათ გადაახტება. კიდევ არის უველაზე მარდი, ამაუი და ლამაზი ცხენი,—ეს მოჯირითე ცხენია. ეს ცხენი განსხვავდება სხვა ცხენებში ისე, რო-



გორც მწევარი ძაღლი სხვა ძაღლებში. თუ ვინღათ შეიტყოთ, რა ნაირები იყვენ წინათ ჩვენი ცხენები, მდიდით ზოოლოგიურ ბაღში და იქ ნახავთ ძორეულ ქვეყნებიდან მოყვანილს ცხენებს, ესენი ძალიან ძიუგვანებიან იმ ცხენებს, რომელნიც ცხოვრობდენ ჩვენში ამ ათასი წლის წინათ.

ცხენები ძალიან ჭკვიანი ცხოველები არიან, თუ ცხენს კარგათ მოექეცი ძალიან სიუვარული და ერთგულობა იცის.

ერთი კაცი ცხენით ღამე შინ ბრუნდებოდა. უცბათ ცხენი გვერდზე გასტა, თურმე გზის ჰირს დაგროვილ ქვებისა შეეშინდა. ამისთანა ცხენებს ძმიძარა და მძღალ ცხენებს ეძახიან. წინათ, როდესაც ცხენი გარეული იყო—სხვა გარეული ცხოველები და გარეული ადამიანები სძირად ბუჩქებში ან ხვრელებში იმალებოდენ და მერე გამოუსტებოდენ ცხენს—ცხენიც გვერდზე გადახტომით და ტლინკების ვრით თავს ძლივს დახწევდა.

ამ ცხენმა თავის ჰატრონი ძირს გადმოაგდო, თითონ კი მოჭკურცხლა. ჰატრონს ფეხი მოსტედა და ადგილიდან განძრევა არ შეეძლო, ტკივილები საშინლათ აწუსებდა. უეცრათ ამ კაცს ცხენის ფეხის სმა მოესმა—ეს იმის ცხენი მოსულიყო, ჰატრონს თავს დაადგა და ხვიჩვინი დაიწყო. თურმე ცხენმა ჯერ სახლში ძიირობინა, ბევრი იხვიჩვინა, ძაკრამ ჰატრონი ვერ ნახა, ბოლოს სადაც გადმოაგდო ჰატრონი ისევ იქ დაბრუნდა და იქამდის არ მოშორდა თავის ჰატრონს, სანამ ხალსი არ მოექველა.

არის კიდევ ერთი სულ ჰატარა ჯიძის ცხენი,

რომელსაც ეძახიან „ზონი“. დიდი ცხენი უოველთვიან არ არი ჰატარაზე ჭკვიანი. ერთ ჰატარს გოგონას ჭეაუდა ჰატარს ჯიშის ცხენი—ზონი. ის დიდ ქოფაკ ძაღლსე დაბალი იყო. სიმაღლით არშინსე ცოტა მეტი იქნებოდა. თუძვა მისთვის არაფერი უსწავლებიათ, მაგრამ მას თავისი ჭკუბ-გონება სამყოფი ჭქონდა. ხან და ხან მას სასეირნოთ ბაღში გაუშვებდენ. როგორც კი შენიშნავდა, რომ მეზაღე თავდასრილია და საქმეშია გართული ის, ჩუმათ მიეზარებოდა იმას, ზირით თავიდან ქუდს მოხდიდა და მოჭკურცხლავდა.

ცხენებმა იციან ზოგჯერ კბილებით თავლის გაღება და სასეირნოთ გაზარვა, ერთი ცხენი თურმე ძალიან დახელოვნებული იყო ამში. სხვა ცხენები თავიანთ თავლიდან თურმე მურით შესცქეროდენ ამ მოხერხებულ ამხანაგს. ერთხელ ამ ცხენმა ჩვეულებრივ სასეირნოთ წასვლა რომ დააპირა თავის ამხანაგების სვიხვინი მოესმა, ის უკანვე დაბრუნდა, სათითავოთ ეველას კარები გაუღო და მათთან ერთად სასეირნოთ წავიდა.



ვირი ცხენსე ნაკლები სასარგებლო ცხოველი არ



ქართული
ენების

არის. მას სასული აქვს გატეხილი. სულელათა
ლიან. მაგრამ ვირი სულაც სულელი არ არის. ის
ძალიან ჯიუტია, კერძი თავისას უოველთვის გაიტანს.
ჩვენი მხრის ვირები ისეთი ღამაში და კარგები
არ არიან, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებისა. ისი-
ნი სიდიდით თითქმის ცხენის ტოლები არიან: —ლო-
ნივრები, ამაყები და ღამაშები. ისინი ამაყ ვირები
ძალიან ღამაშები არიან. ეგვიპტეში ვირი უფრო ძვი-
რათ ფასობს, ვიდრე ცხენი.

ჯორის დედა არის ცხენი და მამა -- ვირი. ჯორ-
სა და ვირს გრძელი ყურები აქვთ, მოგრძო თავი
და წვრილი გრძელი კუდი, რომლის ბოლო ყოჩით
თავდება. ვირი მოძთენი ცხოველია, მას სულ გრძე-
ლობაში არზუნს აჯობებს, ჯორიც და ვირიც ადვი-
ლი შესანახია, რადგან ეველაფერს სჭამენ. ჯორი
უფრო დიდხანს ცოცხლობს ვირზე და შესანიშნავი
ფოფხვა იცის აუვალ მთაკლდეებზე. იმ ქვეყნებში,
სადაც გადასატანია სოლმე ტვირთი მთაკლდეებზე
უვიროთ და უჯოროთ ვერას მოახერხებენ. ისინი
დატვირთულნი, გარეულ თხებზე უკეთესათ, დამკრე-
ბიან კლდის ვიწრო ბილიკებზე, სადაც ცხენი ვერ
შესძლებს გავლას.

ვირსაც და ჯორსაც საკვირველი მესნიერება
აქვთ. მაგრამ ჯორის მესნიერება ჩვენთვის ზოგჯერ
სახირო არ არის. რადგან ჯორი აუ თავისებური
ჯიუტით რამე საქმეს მიეჩვია, მერე ვეღარას გზით
ვეღარ გადახვევ.



ძალიან დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ლონდონში, ნეპოლში და კიდევ სხვა ქალაქებში ჯორებს „კონკები“ დაჭეზებდნენ. კონკში ან ორ დიდ ჯორს შეაბმდენ ან სამ ჰატარას, ჟღარუნების რაწკა-რუწკით ისინი კონკას მიაგორებდნენ.

კურაჭა.

(დასასრული შემდეგ).






„ჯღანუას“ თავგადასავალი.

(დასასრული)



ამდენივე ხანი კარგათა ცხოვრობდა ჩვენი ჯღანუა. მეფე წყალობის თვლით უცქეროდა, კარგათ უვლიდა, აჭმევდა, ასმევდა, ცივს ნიავეს არ აკარებდა.

მეტის მეტ სიხარულში იყო ჯღანუა, მაგრამ ვეველაფერს დასასრული აქვს და ამ სიხარულსაც ძალე ბოლო მოეღო. ერთს მშვენიერ დილას მეფემ მოიხმო ჯღანუა და უბრძანა: „თუ გინდა, რომ მეტ ბედნიერებას მიაღწიო და ჩემი გული მოიგო, მითხარი მაგრე სწრაფათ, როგორ დაიარებიო“. ჯღანუას ბარემ არ უნდოდა ამ საიდუმლოების გამომქდავენება, მაგრამ „ძალა აღმართსა ჭხნავს“ და ამანაც ვეველაფერი უამბო მეფეს. მეფემ ინება თითონვე დარწმუნებულყო ჯღანუას სიტყვების სიმართლეში და მოითხოვა ქოშები; ჩაიციო და ცაღ-ფესხედ შემოტრიალდა და ისე სწრაფათ გაიქვა, რომ არ იცოდა სული როგორ მოებრუნებინა. მეტის-მეტი დადდილობისგან მეფე მიწაზედ გაიშლართა და ერთი საათი მანც გულ-მედონებელი იყო; როცა მობრუნდა, მოიხმო ჯღანუა და ასე უთხრა:



— შენ მე მასხარათ ამიგდე, ხალხი აცინე შედ, უბედურათ დამსაჯე და ამისთვის მე შენ სასახლეში ვეღარ დავაყენებ და სადაც გნებავდეს, იქ მიბრძანდიო; მოსამზადებლათ 12 საათს გაძლევე და, თუ ამ ხნის განმავლობაში, არ მოძორდები ჩემს არემარეს, სიკვდილით იქნები დასჯილიო; ამ ქაშებსაც და ჯოხსაც სამუდამოთ გამოეძმვიდეო.

ისე მტერი დაგიღონდეს, როგორც ჯღანუა დაღონდა და დამხრდა...სად წასულიყო, არ იცოდა... გამოვიდა სასახლიდან და გადაუსვია მარჯვნივ და ბევრი სიარულის შემდეგ ძაღვა ერთს ტყეს. დაიღაღლა, დაიქანცა და სიმშლით მუცელი ეწვოდა. სიარულის თავი, რომ აღარ ჰქონდა, იქვე ერთ ხის ძირში მიეგდო და მაშინათვე დაიძინა. ასე მკვდაროვით ეძინა მეორე დღეამდის და, როცა გამოიღვიძა, თვალები მოიფშენიტა და ერთ ხეზედ დაინახა მძევნიერი ნაყოფი; მივარდა ამ ხესთან, ძრავალთ-ძრავალი ნაყოფი მოკრიფა და ღონივრით გამოძღა. ეს ხილი ლეღვი იყო. ახლა წყალი მოუნდა და ნაკადულისაკენ გაექანა; ანკარა წყალში რომ ჩაიხედა, საშინლათ შეშინდა, თავსარი დაეცა: ამ საცოდავს ვირის ურები ესხა და ისეთი დიდი ცხვირი მოხმობდა, საზარელი სანახავი იყო.

— ესლა მე ვირი ვარ, სთქვა თავის-თავად დაღონებულმა ჯღანუამ;—ახია ჩემზედ; ბედნიერებას მივაღწიე, იგი ხელიდან გაუშვი, მიუქოლე, მოუქოლე და მის ნაცვლათ ამისთანა ურები და ცხვირი შევიძინეო. მაინც კიდევ მიიარ-მოიარა ის ტყე; ამ სიარ-



ეროვნული
საბჭო

რულში მოძიკდა კიდევაც, ვადაუსვია მარცხნივ და
ერთს სესხედ მშვენიერი ნაყოფი შენიშნა და ახლა ამ
ნაყოფით ჩაიგემრიელა ჰირი; ძერე გაიქცა და ისევ
იმ წყაროში წაიხედა და გაოცდა, როდესაც დაინახა,
რომ უურებიცა და ცხვირიც დაპატარავებოდა.

— ეს კარგი საქმეა, შენმა ძესემ, იუიქრა ჯღა-
ნუამ:

„ვჭამე ერთი ხილიო,

მომემა ვირის უურიო,

ვჭამე მეორე ხილიო,

ჩამომვარდა ცხვირიო“

— ვისარგებლებ ამ ხილითა და ვისიც ჯავრი
მჭირს, უველას ვიწებთ გადავაქცივო, სთქვა ეს ჯღა-
ნუამ; ერთ ხიდანაც და მეორე ხიდანაც ხილი ბლო-
მა დაკრიფა, ტანისამოსი გამოიცივალა და გასწია
იმ ქალაქისკენა, სადაცა ცხოვრობდა მეფე. სასახ-
ლის კარებთან გაშალა ხილი და დაიწყო ვაჭრობა.
ამ დროს გამოვიდა მეფის მხარეული, ჯღანუა ვერ-
იცნო და ხილს თვალიერება დაუწყო. — ეიჭ, ეს კარ-
გი ხილი მოგიტანია; მეფეს ძალიან უყვარს ეს ხი-
ლი და ნუღარ გაჭედიდი სულ მე ავიღებო. გამოი-
ტანეს ოქროს სინი, იმაზედ დაუარეს ხილი და სა-
დილათ მიართვეს. ჯღანუა მაშინათვე მიიძალა. იცო-
და რაც ამბავი მოხდებოდა. მეფე მან გუნებასე იყო:
აწინებდა თავის ქალიშვილებს, ამხიარულებდა და
თან ხილსა სთავაზობდა და თითონაც შეექცეოდა.
ნახირ-ვესირებისაც მოწუხლების თვალთ შეხედა და
ამათაც მისთავაზა ეს ხილი. უეცრივ უველამ ერთმა-

ნეთს გაკვირვებით დაუწიეს ურება: მეფემ შენიშნა, რომ ვეელას ვირის ურები გამოსვლოდა და უსარმახარი ცხვირები, ქალიშვილებმაც შენიშნეს, რომ მეფესაც ეს უბედურება დამართნოდა. ერთი ვაი-უშველებელი შეუდგათ... გაკზანეს ექიმებზედ, მაგრამ ამათაც ვერა უშველეს რა. მეფემ გასცა ბრძანება: — გინც ჩვენ მოგვარჩენს, ქონების ნახევარი იმასაო. ამ ამბავს ჯღანუამ უური მოჰკრა; წვერი გაიკეთა, ჩაიცო სხვანაირი ტანისამოსი და ძივიდა სასახლეში. — თუ მეფე შესრულებს თავის ნათქვამს, ვეელას მე მოგარჩენთო. მეფემ შეჰფიცა. ჯღანუამ ამოიუარა ჯიბიდან მეორე ხილი და მისთავაჲს ქალიშვილებს და უეცრივ დააურევინა ცხვირიცა და უურებიც. მეფემ და ვეზირებმა შეიფანეს ჯღანუა სალაროში, სადაც დიდძალი ოქრო-ვერცხლი იყო... კიდევ შეჰფიცეს: ჩვენც მოგვარჩანე და ორჯელ მეტს მიიღებ კიდევ ამ ოქრო-ვერცხლსაო. ჯღანუამ მონახა თავისი ქოშები და ჯოხი, უეცრივ წვერი ჩამოიგდო, ქოშებში ფესი გაჭყო, ჯოხი იღლიაში დაიჭირა და, ვინემ ნაზირ-ვეზირები დაიჭურდენ იმას, იგი უკვე მადლა ჭაერში აფრინდა და იქიდან გადმოსძახა:

— აბა ახლა დაგიდგათ თვალები: თქვენ ვირის ურებს და მაგ უსარმახარ ცხვირებს ვეღარ მოიშორებთო... მე ჯღანუა მქვიან, რომელიც ასე უსამართლოთ დასაჯეთო... სადაც თქვენი დაიკვესოთ, იქ ჩემიცა თქვითო, სთქვა ეს და ცხრა მთას იქით გადაიკარგა ჩვენი ჯღანუა.



გამოცანები.

გამოცანას მოგახსენებთ ჩვენ გაბერილ თხაზედაო,
პირში სული აღარ უდვას, ღვინოსა სვამს ძალზედაო.

ორ მთას შუა გაჩქარებით, ცხენი მირბის ქიხვინაო,
ათასი კაცი დაუხვდა, ვერვინ ვერ დაიქირაო.

ყვავილების მტერი არის და არაფერს აკეთებსო,
დათვრება და დაცერცეტობს, თავს მიწაზე ახეთქებსო.

შ ა რ ა დ ა .

ორი ასო ორჯელ ხშირად, ბავშვებო, დაგვიძახია,
სიტყვა შემდგარა, რომლითაც საქმელი დაგვიძახია.
მეორეს ომში ხმარობენ, ის ყველას დაგვისახია,
მის მოტრფილგე მთიულსა აქამდის შეუწახია,
მთელი კი ცხენსა ამშვენებს, შობიდან მას ზედ ასხია.
ამის ვერ გამომცნობელი, დიახ რომ დასაძრახია.

ზ მ ა .

ჩიტო ტიკტიკა ენითა, მელაპარაკე ნაღვლიანს,
მიამბე, რისთვის მიდიხართ იმ უცხო მხარეს, ნაღვლიანს.

იშვიათი ოჯახი.

ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში საკვირველი კატა ცხოვრობს. მას ხუთი ობოლი იხვის ქუკი უშვილია და ისე ზრდის და უვლის, როგორც თავის შვილებს. ყოველ საღამოს ამ ხუთივე ქუკს ის ჩაისხამს ხოლმე დიდ გობში, თითონაც გვერდს მოუწვება და მთელი ღამე იმათთან ატარებს.

ქვიშის შადრევანი.

ჩვეულებრივ შადრევანი ყოველთვის წყლისა არის ხოლმე, კანადაში კი არის უცნაური ქვიშის შადრევანი. წყლის მაგივრათ მიწიდან რალაც ძალას ქვიშა ამოაქვს და რა ძალას ამოაქვს მიწიდან ეს ქვიშა არავინ იცის.



რ ე გ უ ს ი .



,

რასა
ესვამთ
დილა-სა-
ღამითი

”

მ

მ



,

მდინარე
ეგვიპ-
ტეში.

,

ს



გ

უარი

შე

ც

ე

ქვ

გათქვე-
ფილი მა-
წონი

ნაცვალ
სახელი

ბა



გამოცანებისა: თო.ფი, ხე კაკუნა—კოდალა, საცერი, ბზე
და პური, საათი.





დილა




გარიერაჲდა. ღამის წყვილადს
შუქი სტყორცნა ბნელს, გულ-ზეფას. .
გათენდა და ცა—მზის სხივით
აუფრადდა აღმასივით!..

ველს დაეცა თეთრი რთვილი,
ტოკავს არე ვრცლათ გაშლილი.
მაღალი მთით მოჰქრის წყარო,
სიხარულით თრთის სამყარო!..

ვიშ, ამ დილას ცხოველ-მყოფელს,
ნათლის სხივით მოსილ სოფელს!..

ტყე და ველი მხიარულობს,
წყაროს ტუჩზე ღიმი კრთება,—
გაიღვიძა არე-მარემ,
სამეჯლისოთ ემზადება!..


ვ. გორგაძე.



მვილი

თუ იმპერატრიცას გვირგვინი

(ისტორიული მოთხრობა ა. კონან-დოჟის*)



I

სამშობლოში დაბრუნება.

გაზაფხულზე, 528 წელს, ევროპის და აზიის შუა, სახელდობრ მარმარილოს ზღვაზე, ქალკედონ-კონსტანტინეპოლის კიდეთა შორის ერთი პატარა სახალხო ხომალდი მიდი-მოდიოდა.

ამ დღით, რომლის შესახებაც გვეჩვენა ბაასი, ე. ი. გიორგობა დღეს, დილა ადრიან მომავალ ხომალდის ზაქანზე, აუარებელი მლოცველი ხალხი ირეოდა. ყველა მიემართებოდა განთქმულ ქალაქისკენ, ეშურებოდნენ დღეობას.

აღმოსავლეთის ეკლესიამ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებით აღნიშნა გიორგობა, ამ წმიდანის დღეს ყოველთვის უფრო ჩინებულათ დღესასწაულობდა. ხალხი ღამისთევის და წირვა-ლოცვის შემდეგ მონაწილეობას იღებდა თამაშში და ათასგვარ ვარჯიშობა-გართობაში, რომელიც ყოველ წლივ ამ დროს იმართებოდა ხოლმე სახსოვრათ დიდებულ მოწამისა.

მეზღვაურთათვის მართლაც რო კარგი ტაროსი იდგა: ზღვაზე სრული მყუდროება სუფევდა და თანაც საამო ნიავეი ზურგში უბერავდა. კიდევ ამიტომ ხომალდზე გულდამშვიდებულნი იყვნენ — სადღეობო ქეიფზე გრძნობდნენ თავს. გულის ძგერით მოელოდნენ მსოფლიოთ განთქმულ ქალაქის სი-

*) საბერძნეთის ცხოვრებიდან.



ლამაზის ნახვას და თან ხარბათ სტკებოდენ ზღვის სიღრმეში არე-მარის დიდ-მშვენიერებით.

ხომალდმა ვიწრო სრუტესკენ შეაცურა. მარჯვნივ მას მხარს უმშვენებდა აზიის კიდე, რომლის ნაპირიც ბაქან-ბაქანათ ასული, მთლათ შემოსილიყო ხშირ მწვანე ბუჩქნარით და თეთრი ალვის ხეებით. მრავალგან კეკლუცათ ნაშენნი საზღაფხულო სახლები, მთლათ მწვანეში, ფერად ყვავილებში ინთქებოდენ; მშვენივრათ სადღესასწაულოთ მორთულნი, ხშირ ყვავილოვან, ბუჩქნარ ხეებიდან საამოთ იცქირებოდენ.

მაგრამ ხომალდის წინ თვალს უფრო ხიბლავდა აუწყურელი მშვენება პრინცთა კუნძულებისა. მწვანენი ვით თეირანის ზურმუხტი, სურათოვნათ გაფანტულყვენ, ლურჯ იაგუნდის ფერ, მარმარილო ზღვის ლაქვარდ სივრცეზე. ეს თვალ წინ აღმართულნი კუნძულები, ვაზის და ზეთის ხილის ხეებით შთანთქმულნი, ჯერ კიდევ უშლიდენ სატახტო ქალაქის დანახვას.

ხომალდმა აგერ კუნძულებს გვერდს შეუარა და დიდებული ქალაქი უეცრივ წარმოუდგათ თვალ წინ მთელის თავის მშვენებით. გახარებულმა მოგზაურებმა აღტაცების ჟივილ-ხივილი შორთეს; მათი გაკვირვებული თვალები, მთლათ ხედვათ გადაიქცენ. ბაქან-ბაქანათ აღმართული თეთრი ქალაქი აღმასივით თრთოდა, ენთებოდა. სპილენძის სახურავ-ბანები და ოქროთი დაფერილი ქანდაკებათა ჯგუფნი, ამონაწვლ მზის სხივებზე ძალზე ბრწყინავდენ, თვალსა სჭრიდენ. ყველა ამათზე აღმართებოდა ცის კამარისკენ ატყორცნილი, საუცხოვო ხელოვნების ოქროს გუმბათი წმიდა სოფიოს განთქმულ ტაძრისა, მთლათ ქალაქი კონსტანტინეპოლი, მოკრიალებულ ცის ლაქვარდზე გამოხატული, არა ამ ქვეყნიურ სანახაობას წარმოადგენდა. ეს დიდ-მშვენიერი, ჰაეროვანი სურათი ადამიანის ოცნებას, შორს ზესკნელს, უსაზღვრო სივრცისკენ განიტაცებდა.

ჩვენი პატარა იალქნიან ხომალდის დინგზე ორი მგზავრო იდგა. ერთი ძალზე ლამაზი, შავგვრემანი ახალგაზრდა ვაჟი, ასე ათი-თორმეტი წლისა. ამის მხიარულ შავ-თვალეზიდან, მუქი ფერის ხუჭუჭ თმის ქვეშ, გამოკრთოდა ჭკუა და ახალგაზრდა სიცოცხლის სიხარული. მეორე იყო პირ-ხმელი



მოხუცი, ჭალარა წვეროთ. რამდენჯერაც მოხუცი შეხედავდა თავის ახალგაზრდა თანამგზავს, პირს ღიმილი მოსდიოდა. ხოლო ცნობის მოყვარეობით გატაცებული ყმაწვილი, გაოცებული უცქეროდა შორიდან მოელვარე კეკლუც ქაოაქს და აუარებელ გემ-ხომალდებს, რომელნიც ავსებდენ ვიწრო სრუტეს.

— უცქირეთ, უცქირეთ! — აღტაცებული იძახოდა ყმაწვილი — უი, დედა, დედა, რა დიდრონი წითელი გემებიია!.. აგერ გამოვიდენ კიდევ ნავთსადგურიდან. თქვენო მაღალ კურთხევაჲ, განა რო მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვება ამისთანა დიდი გემები!?

მოხუცმა, წმ. ნიკიფორეს მონასტრის წინამძღვარმა, მხარზე ხელი დაადო ყმაწვილს და უჩუჩუღა:

— ნელო, ლომსავ, დაბლა ილაპარაკე... ვიდრე დედაშენს არ ვნახავთ, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს, უჩინრობა გვიჯობს. ჰო, მართალი კი ხარ, ეგ წითელი „კატარღები“ დიდები და ძვირფასნი არიან. ეგენი იმპერატორის საომარი ხომალდებია, ეხლა-ხან დაბრუნდენ ფეოდალის ნავთსადგურიდან. აი, აგერ იმ მწვანე კონცხის უკან — ოქროს რქათ — წოდებული ნავთსადგურია; იქ კი სავაჭრო ხომალდები სდგანან ღუზაზე. ახლა, ლომსავ, აბა თვალი გაავლე ა იმ შენობების რიგს: ხედავ ა იქ, დიდ საყდარს უკან, ზღვის პირათ რო გრძლიათ გაგრძელებულან დიდრონი სვეტები... ჰხედავ?... ჰო და, ეგ არის ცეხართა სასახლე...

ყმაწვილი დიდის დაკვირვებით ათვალიერებდა დასახლეობულ ადგილს.

— მერე, იქ არის, იქ სცხოვრობს დედაჩემი! — წაიჩურჩულა ყმაწვილმა და თან დაჟინებით დასცქეროდა მოხუცის მკაცრს სახეს, რომლისაგან ჯერ კიდევ ბევრს პასუხს მოელოდა — მამაო ლუკავ! თქვენ დარწმუნებული კი ხართ, რომ დედაჩემს იამება ჩემი ნახვა?..

წინამძღვარმა მთავრად თავი ყმაწვილის, კითხვით აღსავსე, ანთებულ შავ თვალებს.

— ჩვენ, ლომსავ, ჯერ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ჩვენ მხოლოდ უნდა ბედი ვცადოთ. თუ აღმოჩნდა, რომ შენ აქ ადგილი არა გაქვს, მაშინ, შეილო, დიდის სიამოვნებით,



ისევ ჩვენს უღაბნოში მიგიღებთ წმ. ნიკიფორეს მძაბთა შიშ-
 რის.

— რატომ ჯერ დედაჩემს არ შეეკითხეთ, მამაო ლუკა, შემეძლო მე მოსვლა თუ არა? რატომ არ დაუცადეთ მის პასუხს, განკარგულებას?— ეკითხებოდა ყმაწვილი.

— რომ მომეწერა, ან მეცნობებია ჩვენი მოსვლა, მაშინ შორიდან ადვილათ შეეძლო უარის თქმა, ან და იმპერატორის შიკრიკი გზიდანვე დაგვაბრუნებდა. ახლა კი, ლომსავ, სულ სხვაა როცა დედაშენი მოულოდნელათ, თავის ძვალით გნახავს. რო იხილავს შენს თვალებს, რომელნიც ასე საოცრათ ჰგვანან მის თვალებს; როდესაც ნახავს შენს სახეს და მოაგონებს იმ კაცის სახეს, რომელიც ოდესღაც მას ისე გაგიჟებთ უყვარდა, მაშინ დედის გული გაიშლება შენთვის, ლომსავ, თუ კი, რასაკვირველია, ჯერ არ გაქვავებულა ის დედიშენის გული.

ბავშვს რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ ბერ-მონაზონმა არ დააცალა.

— ამბობენ, რომ იმპერატორს არ შეუძლია არ შეასრულოს რასაც კი დედაშენი მოითხოვს ხოლმეო. ჰო და, გვირგვინოსანი მეუღლენი უშვილონი არიან, ლომსავ, მაშასადამე, შენს წინ დიდებული მომავალი ბრწყინავს. ხოლო როდესაც ეს ნეტარი დღე გაგიოთენდება, ბედში მყოფმა არ დაივიწყო, შვილო, საბრალო მწირნი წმ. ნიკიფორეს მონასტრისა, სადაც შენ აღიზარდე და სადაც შეგიგუეს იმ გაჭირვების დროს, როცა შენ მთელს ქვეყანაზე, ჩვენს გარდა, არც ერთი გულშემატკივარი არა გყავდა. ჰო და ამას გემუდარები.

მოხუცი წინამძღვარი ცდილობდა მხიარული სახე მიეღო, რიხიანათ, გაბედულათ ელაპარაკნა, მაგრამ სახეზე აშკარათ ემცნეოდა რაღაც ჭმუნვა. რამდენათაც იგი უახლოვდებოდა სატახტო ქალაქს, იმდენათ უფრო გული ეთანადრებოდა— როგორღაც საეჭოთ მიაჩნდა ნაფიქრი საქმის კეთილათ დაგვირგვინება. ის, რაც მოხუცს ანტიოქიის მყუდრო სავანეში მოსაზრების დროს, ასე ბუნებრივ, მარტივ საქმეთ მიაჩნდა, ახლა, როცა მის თვალწინ ქალაქი გამოიჭიმა და მიზანს მიუახლოვდა, ახლა კი, ოქროთი დაფერილ გუმბათე-



ბის დანახვაზე, ცოტა არ იყოს აშკარა საქმეს, მის თვალში მინუსული რაღაც ბურუსი ეფინებოდა.

ათი წლის წინეთ, იმ ზნეობრივათ დაცემულ დედაკაცის სახელს წარმოთქმაც კი სათაკილოთ მიაჩნდა აღმოსავლეთის ხალხს. იგი თავის უმსგავსო ქცევით იმდენათვე განთქმული იყო, რამდენათაც თავის შესანიშნავ სილამაზით. აი ამ დედაკაცმა დაურახუნა მონასტერს ჭიშკარი, შეაბრალა წინამძღვარს თავი და როგორც იყო მიაღებინა თავის ცოდვის ხაყოფი, ქორფა ვაჭი შვილი. მას შემდეგ ბავშვი ამდენ ხანს ბერ-მონაზონთა მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა მონასტერში. ხოლო თითონ დედამ (თეოდორამ) ისევ სატახტო ქალ. კონსტანტინეპოლს მიაშურა. აქ მისი ბედის ჩარხი იმდენათ საოცრათ დატრიალდა, რომ ტახტის მემკვიდრის იუსტინიანეს ყურადღება მიიქცია და მერე ხო რაღაც თილისმით სულ მთლათ გააბა სიყვარულის მახეში.

იმპერატორ ბიძის სიკვდილის შემდეგ, ყმაწვილი კაცი იუსტინიანე შეიქმნა უზღუდებულეს მონარქათ მთელს დედამიწის ზურგზე. მაშინ თეოდორა არამთუ ამაღლა თავის ტახტის და მეუღლე იმპერატრიცას ხარისხამდე; არამთუ მიანიჭა მას თანასწორი უფლება, არამედ თეოდორას შეეძლო იმპერატორის დაუკითხავათ, დამოუკიდებელი, განუსაზღვრელი ხელმწიფება მთელს იმპერიაში.

თეოდორამ დიდის მოხერხებით ისარგებლა თავის უფლებადირსებით, ახალი მდგომარეობით. მოსპო ყოველივე ნიშანწყალი რასაც კი შეეძლო რაიმე კავშირი ჰქონებოდა მის წარსულის ცხოვრების მოგონებასთან. მალე, ძლიერ მალე, თეოდორამ ისიც დაამტკიცა, რომ იგი მართლაც—და ღირსეულათ, დიდებულათ განაგებდა მთელის იმპერიის სახელმწიფო საქმეებს და უფრო ქვეიანიც და ბრძენიც აღმოჩნდა, ვიდრე თვით მისი გვირგვინოსანი მეუღლე იუსტინიანე.

მაგრამ თეოდორა ამავე დროს იყო შურის მაძიებელი და თავის ნათქვამი, უღმობიერო და ჯიუტი—დიდი ნუგეში და მფარველი იყო თავის მეგობრებისა, ხოლო ღვთის რისხვა თავის მტრებისა. ისინიც ბევრი არ აბოჯინა, ვის გონებაშიაც კი აჩრდილიც არის წარმოუდგებოდა, თეოდორას იმ ბნელ და სამარცხვინო წარსულის ამბებისა.



აი რა აღამიანს წარმოადგენდა ის დედა-კაცი, თეოდორას ანტიოქიელს მიჰყავდა ახალგაზრდა ლომსაი, თეოდორას გულიდან ამოდებული სიგიჟის შვილი.

ზოგ ჯერ თეოდორა მართალია მოიგონებდა ხოლმე იმ შავ და ბნელ ღღეებს, აფრიკის პენტაპოლის მთავარმა ეპე-ბოლოსმა თავი რო გაანება და როდესაც იგი (თეოდორა) ფეხით მოგზაურობდა მცირე აზიაში და როგორც მან ერთი თვის ვაჭიშვილი ძუძუდან მოიგლიჯა და ბერ-მონაზონს მიაბარა. ყველა ამ წარსულ ამბებს თუ იგონებდა, მხოლოდ თავის თავის დასარწმუნებლათ, რომ ამ მხრივ არა ვითარი შიში აღარ მომეღისო. თეოდორა გულ-დამშვიდებული ჰფიქრობდა, რომ ბერები, ქვეყნიურ ცხოვრებიდან განდევნილი, ვერაფრით არ აზრს ვერ მოვიდოდენ, ვერ დაუკავშირებდენ იმპერატორიკა თეოდორას სახელს, იმ ვილაცა ხატებზე მოსიარულე, მატანტალა, საცოდავ თეოდორა დედაკაცთან. აი რა ანუგეშებდა თეოდორას და თავს რითი იჯერებდა, რომ იმპერატორი მის ღღეშიაც ვერ გაიგებს ამ წარსულ საქმეს, ჩემს საიდუმლოსაო.

პატარა ხომალდმა აკროპოლოს კონცხს შეუარა თუ არა, წინ გადაეშალა ვიწროთ წასული ლაქვარდი ზოლი ოქროს-რქათ წოდებულ ნავთსადგურისა. მაღალი კედელი ფეოდოსის (იხისა გრძლათ მისდევდა მთელს ნავთსადგურს, ხოლო კედელსა და ზღვის შუა კიდევ ვიწროთ დარჩენილიყო დედა მიწის ზოლი.

გემი გაჩერდა ქალაქში შესასვლელ გიორგიას ციხის შექედილ კარებთან. მოვიდენ ჩაფხუტიანი დარაჯები, დაათვალიერეს გემი და ჩხრეკა-გამოკითხვის შემდეგ, ჩვენს ნაცნობს ორ მგზავრს ქალაქში შესვლის ნება დართეს.

მონასტრის საქმეების გამო წინამძღვარი კვლავაც ხშირათ დაიარებოდა ხოლმე კონსტანტინეპოლში; ამიტომაც გაბედულათ მიაბიჯებდა ნაცნობ ქუჩებში, ხოლო მისი ახალგაზრდა თანამგზავრი ლომსაი, ცნობის მოყვარეობით გატაცებული აქეთ-იქით ცქვიტათ იცქირებოდა. დიდროანმა, ხელოვნურათ ჩინებულ ნაშენმა, მრავალ სართულიანმა ქრელმა სახლებმა, ქუჩის აურ-ზაურმა, ეტლების გრიალმა და აუა-

რებელი ხალხის მოძრაობამ, მთლათ გააშტერა ახალგაზრდა მგზავრი. თან ეშინოდა კედეც და მავრათ სჭიდებდა ხელს ბერ-მონაზონის ანაფორის განიერ კალთებს.

ზღვიდან ჯერ ხო ვიწრო ქუჩებთ აღმართს შეუდგენ, მერე რო გაუვაკდათ, ერთს განიერ ქუჩისკენ შეუხვიეს და აქედან დიდ მოედანზე გავიდენ, სადაც აღმართული იყო დიდ-მშვენიერა წმ. სოფიოს დიდებული ტაძარი, ამ ტაძრის აშენება დაიწყო წმ. კონსტანტინემ, აკუროხა წმ. იოანე ოქროპირმა და ახლა აქ იყო აგრეთვე ტახტო მსოფლიო პატრიარქისა, საიდანაც განაგებდა აღმოსავლეთის ეკლესიის ყველა საქმეებს. ღვთის მოსაგვამა წინამძღვარმა მრავალ გზის პირჯვარი დაიწერა, რამდენიმე მეტანიაც მოიყარა, ბოლოს გასცილდა ამ წმიდა ადგილს და გაეშურა სასახლისკენ, ნაფიქრ საქმის დასაგვირგვინებლათ

მგზავრებმა გაიარეს მარმარილოს იატაკიანი აფეუსტეუმი და მარჯვნივ გამოჩნდა ოქროთი დაფერილი კიშკარი ჰიპპოდრამისა*), სადაც დღეობაზე დიდ ძალი ხალხი ირეოდა, მლოცველები წირვის შემდეგ ყველა მიეშურებოდა ქალაქს გარეთ, სადაც მათ გასართობათ, სამხიარულოთ, გიორგობა დღეს, მრავალგან ასპარესზე იმართებოდა: კიდაობა, ბურთაობა, ჯირითობა და მრავალგვარი სხვა გასართობი, ხალხი მართლაც-რო ნიაღვარივით მოზღვავედა. ჩვენმა მგზავრებმა ძლივს გაატანეს ბრბოს ტალღას და როგორც იყო მიაღწიეს შავ მარმარილოსაგან შეკრულს მძიმე თაღს, სასახლის გარე კიშკარს.

ბერი და ყმაწვილი სასახლის ეზოში შევიდენ თუ არა წინ დაუხვდათ სადღეობოთ კოხტათ მორთული დარაჯი, რომელსაც თავს ეხურა ოქროთი დაფერილი ჩაფხუტი, დარაჯმა შეუტია მათ და მოელვარე ხელ-შუბით გზა გადაუღობა. დიღხანს არ უშვებდა, ვიდრე მორიგ აფიცერმა ნება არ დართო. წინა მოძღვარმა კარგათ იცოდა, რაც იყო საჭირო სასახლეში დაუბრკოლებლივ შესასვლელათ. ამისთვის საკმაო იყო მას ეხსენებინა სახელი საჭურჩისის ვასილისა, რომელიც სასახლის კარის კაცათ ითვლებოდა, თანაც იყო პარაკიმო-

*) საჯირითო მოედანი.

მენი ე. ი. მოხელი, რომელიც იმპერატორის საძილო ოთახის კარს დარაჯობს, აქ იძინებს. მართლაც-და ამ თილისმა შესანიშნავათ გასჭრა. ახსენა თუ არა ამ გავლენიან კარის კაცის სახელი, პროტოსფატარმა ე. ი. სასახლის მკვევლების უფროსმა აფიცერმა, წამსვე უბრძანა ერთ-ერთ დარაჯს, მიეცილებინა ესენი საქურის ვასილთანა.

ჩვენი მგზავრები მშვიდობიანათ გასცილდნენ მეორე რიგის დარაჯებს, მერე სასახლის შიდა დარაჯებს და ბოლოს მიაღწიეს თვითონ სასახლესაც. დარაჯი მედიდურათ მიუძღოდა მოსულებს. გაიარეს ერთი მდიდრულათ მორთული, საოცარი ოთახი, გაიარეს მეორე ოთახი უფრო საკვირველებით აღსავსე. ადამიანის ენა და პირი განა რას ინატრებდა რო იქ არ იყო: მარმარილო, ოქრო, ხავერდი და ვერცხლი, ბრწყინვალე ფერად-ფერადი აია-სოფიას მხატვრობა (მოზაიკა), საუცხოო ჩუქურთმა მრავალ გვარ ნივთებისა, ჩინებულ სინდონი (შირმა) სპილოს ძვლისაგან ნაკვეთ-ნაკვეთები, ფარდები სომხეთის ნაქარგ ქსოვილებისა და ინდოეთის განთქმულ ფარჩეულობისა; მშვენიერ ფერადებით ნაქსოვი ხალიხალიჩა არაბეთისა და იშვიათი სიღიდის ქარვის ნივთები ბალტიის ზღვიდან მოტანილი. ესე ყოველივე ძვირფასნი, უთვალავი ფერის სამკაულნი და ფრად ფანტასტიური მორთულობა ოთახებისა, თვალს უჭრელებდნენ ხამათ მოსულ ჩვენს ახალ მოსულებს. თავბრუ დასხმულნი დაბარბაცობდნენ ადამიანთა ამ საოცნებო, სანებიერო, განცხრომითი საცხოვრებელ ოთახებში, რომელთა მსგავსი ვერ მოიპოვებოდი მთელს დედამიწის ზურგზე და ჩვენს მგზავრებს ხო სიზმარშიაც არ მოეღიანდებოდათ ამისთანა ზღაპრული სიუხვე, სიმდიდრე და ფუფუნება.

დადგა სანატრელი წამიც, აგერ ოქრომკედით ნაკერი მძიმე ფარდები გადასწიეს და წინამძღოლმა დარაჯმა ორივენი გადასცა ერთს მუნჯ ზანგს, რომელიც მოაჯირის იქით იდგა, ამ პატარა ოთახში ბოლთას სცემდა ერთი მუქ-კანიანი, მძიმეთ ჩასუჭებული ქოსა კაცი. ჩვენმა მგზავრებმა ფეხი შესდგეს თუ არა, ქოსას დაღმეჭილ, პირქუშ დიდ სახეზე საზარელი ღიმილი მოუვიდა. სქელ-ტუჩა, დაწვებ ჩამოშვებული საქურისი მოგვაგონებდა მსუქან ბერ-ღიაცს, მის სახეზე ინთე-

ბოდა ცბიერებით აღსავსე შავი თვალები. ამ ბოროტ თვალთაგან გამოკრთოდა ეშმაკური ქკუა-გონება, დიდი უნარი, მოსაზრება-დაკვირვებისა და ვერაგობა ყოველ საქმეში.

— თქვენ უთუოთ ჩემის სახელის ხსენებით შემოდგოთ ფეხი სასახლეში! მე ფრიად სასახლოთ მიმაჩნია, რომ ყველას შეუძლია მაგ საშუალებით ჩემამდე მოვლა, მაგრამ ვაი იმის ბრალი, ვინც-კი ამაოდ ისარგებლებს ჩემის სახელით. — წამოიძახა ქოსამ და ერთი ისე შესაზარათ გაიღიმა, რომ ისეთაც შეშინებული ბავშვი უარესათ დაიბნა, უფრო მაგრა მიეკრა ბერის, სარჯიდან ნაკერ, ანაფორის კალთებს.

ბერ-მონაზონი-კა მამაცათ დაუხვდა; ის არ შეუშინდა წარჩინებულ კარის კაცის ბოროტის მომასწავებელ სახეს და არც მის მუქარას, ბერი-კაცმა მხარზე ხელი დაადო თავის ქაბუკ თანამგზავრს და ღიმილით შეჭხედა საქურისს ვასილს.

— მე არ ვეკობ თქვენო აღმატებულება, — მოახსენა ბერ-მონაზონმა — რომ საქმის სიმძიმე, რომელიც მე ვალათ ვიდე, სასახლეში შემოსვლის სრულს უფლებას მაძლევს. მე მალონებს მხოლოდ ერთი რამ, ის რომ სათქმელი მეტისმეტათ სამძიმოა და ძნელათ თუ შეიძლებოდეს გაგიმეღავენოთ თქვენ, ან სხვა ვისმეს, გარდა თვით იმპერატრიცა თეოდორასი...

საქურისმა შუბლი შეიკრა, ბოროტ თვალებზე ჩამოეფხუტენ ხშირი წარბები.

— თქვენ უნდა გაამართლოთ თქვენი ნათქვამი!.. ხმა აიმაღლა ქოსამ. — თუ-კი ჩემი გულმობიერი ბატონი, დიდებულ იმპერატორი იუსტინიანე არ თაკილობს მიანდას ზოლმე თავის გულის პასუხი, უცნაურია თქვენმა მხემ, მე უფლება არა მქონდეს მოვისმინო მის ქვეშევრდომთაგან ყოველივე საიდუმლო! თქვენი ქცევა, მიხვრა-მოხვრა და ეგ შესამოსელი გამხელთ, რომ თქვენ მგონი უნდა იყოთ წინა მძღვარი აზიის რომელამე მონასტრისა?..

— მართალი ბრძანება გახლავსთ, თქვენო აღმატებულება, მე ვარ წინამძღვარი წმ. ნიკიფორეს მონასტრისა ანტიოქიაში. მაგრამ გავკადნიერდები და მაინც გავიმეორებ, — მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უსათუოთ საქიროა.



რაც სათქმელი მაქვს თვით იმპერატრიცა თეოდორას მონაწილეობისა სენო.

საქურისი გაცემული დარჩა. ბერი კაცის ასეთმა ჯიუტობამ ცნობის-მოყვარეობა უფრო გაულმბასა. მიუახლოვდა ბერ-მონაზონს და თავისი მძიმე სახეც წინ გამოსწია, მისი დაღმეჭილი, შავი სქელი ხელები უფრო სახმარ ღრუბელს მოგაგონებდათ. ეს ხახუტი მჩატე ხელები ყვითელ იაშმას მაგიდაზე დააბჯინა და წინამძღვარს მიმართა:

— ბერი-კაცო, ქვეყნიერებაზე არა სუფევს არავითარი საიდუმლო, რომელიც კი შეეხებოდეს იმპერატრიცას და შეუძლებელი კი იყოს ჩემთან მისი გამჟღავნება. ესეც უნდა იცოდეთ, რომ უკეთუ უარზე იდგებით და ყოველივეს არ მიამბობთ, თქვენ მის დღეში ვერ იხილავთ იმპერატრიცა თეოდორას სახეს. არა, ერთი მიბრძანეთ, თქვენს მაღლსა, თუკი არ ამიხსნით მიზანს, რისთვისაც მოსულხართ, რითი ვიცი რომ თქვენ არა ხართ მანიქის სექტის ერეტიკოსი?! ვინ არის განათადებები იმისი, რომ თქვენს უბეში არ ინახება ლახვარი, რომელსაც სწყურის სისხლი აღმოსავლეთის ეკლესიის დედაპატრონისა, თვით იმპერატრიცა თეოდორასი?!

წინამძღვარი აღარ ტორტმანობდა.

— უკეთუ ვშთავარდე მე შეცდომასა, იყოს თავსა შენსა ზედა, — წარმოსთქვა ბერ-მონაზონმა, — მაშ იცოდეთ, რომ აი ეს ბავშვი, ლომსაი, არის ღვიძლი ვაჟი-შვილი თეოდორა-იმპერატრიცასი. ათი წლის წინეთ ერთი თვის ქორფა ბავშვი მოგვაბარა მონასტერში და აი ეხლა დედის ნახვა უნდა. აგერ ინებეთ ეს გრაგნილი პაპირისა და ეგ დაგიმტკიცებთ სიმართლესა.

საქურისმა ვასილიმ გახსნა პაპირის ხვეული და თანაც თვალს არ აშორებდა ლომსას მშვენიერ სახეს. გადაათვალიერა ხელათ პაპირზე ნაწერი საბუთი და წამსვე განცვიფრების აღმურმა თვალეები აუნთო. ცბიერ თავში საქურისს ის აზრითა შეეღვდა — რა ოსტატობით მოიქცეს, რომ ეს მოულოდნელი ახალი ამბავი თავის საკეთილდღეოთ გამოიყენოს.

— ეს ვაჟი მართლაც და ნამდვილი სურათია იმპერატრიცასი — გაჭრილი ვაშლია, — წაიბუტბუტა საქურისმა და თანაც შეცრივ ეჭვი დასძინა, — მიბრძანეთ ბერო, იქნებაც სრუ-



ლებით შემთხვევით აღმოაჩინეთ ამ ყმაწვილის ასეთი სატყუარო
 რი მსგავსება და ამ შემთხვევამ გაგიტარათ თავში ის ახალი,
 რა გეგმაზედაც ეხლა თქვენ მოქმედობთ?!

— მხოლოდ ერთი გზა-ლა დამრჩენია თქვენს საპასუხოთ.
 — მოახსენა ბერ-მონაზონმა — ჰკითხეთ თვით იმპერატრიცას,
 თუ რო სიმართლეს არ ვლადადებდე. თანაც გთხოვთ ჩემს
 მაგიერ ახაროთ, რომ მისი ერთად-ერთი ვაჟი შვილი ცოცხა-
 ლია და ჯანმრთელი.

ყმაწვილის მედიდურმა, მშვენიერმა სახემ, ხელში საბუ-
 თის ქაღალდმა (პაპირუსი) და ბერ-მონაზონის ასეთ გულ-
 წრფელმა, გაბედულ ხმით ლაპარაკმა, საქურისის თავში უკა-
 ნასკნელი ეჭვის ლანდიც კი გაუქარვეს.

საქურისი ვასილი ფეხზე იდგა, მსუქანი ნიკაპი ხელზე
 დაეყრდნო და მხოლოდ ის-ლა აწუხებდა, იმ ფიქრში-ლა იყო
 წასული—ეს უეჭველი საბუთები დიახაც რო ხელთ ჰქონდა,
 მაშასადამე, რა ღონე უნდა ელონა, რომ ამ ახალ გარემოე-
 ბიდან მეტე წილი სარგებელი თვითონ მოეხვეჭა.

— ბერი-კაცო! მრავალთ იციან ეს საიდუმლო?— შე-
 ეკითხა საქურისი— ბევრისთვის გაგიმელაფნებიათ ეს მძიმე სა-
 ქმე?..

— ქვეყნიერებაზე ამ ვაჟის, ლომსაის, ამბავი იცის მხო-
 ლოდ მონასტრის დიაკვანმა ბარლოსამ— მოახსენა ბერმა.

საქურისის ვასილსაც სწორედ ეს უნდა გაეგო. იფიქრა:
 „უკეთუ მარტო მე მეცოდინება ამ ბავშვის ამბავი, ეს საი-
 დუმლოება, მაშინ ეჭვი არ არის, ფრიად დიდ ძალას და გავ-
 ლენას შევიძენო, ხელში ჩამივარდება თვით ჩემი ბრძანებე-
 ლი დიდებული იმპერატრიცა თეოდორა“—ო.

საქურისი დარწმუნებული იყო, რომ იმპერატორმა სრუ-
 ლებითაც არ იცოდა თეოდორას ვაჟი-შვილის არსებობა
 და თუ ახლა გაიგებდა, მაშინ ეს მოულოდნელი ამბავი თავ-
 ზარს დასცემდა იმპერატორს და არავინ იცის, იქნება საქმე
 იქამდისაც გამწვავდეს, რომ თეოდორამ სრულებითაც დაპ-
 კარგოს მეუღლის პატივისცემა და სიყვარულიო... მაშასადა-
 მე, იმპერატრიცა უეჭველია მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ
 არას გზით ამ ამბავმა იმპერატორის ყურამდე არ მიადწიოსო...
 ამ აზრებმა ელვის სისწრაფით გაუარეს ვასილს თავში,



ერეკლესიონი
1919

როდესაც ის ფეხზე იდგა, ხელოში პაპირუსი ეჭირა და თანაღმარაღმადგინებელი ბერი-კაცს და ყმაწვილს დასცქეროდა... ტანში სიამოვნების ჟრუნტელმა დაუარა საქურისს, როცა თვალწინ წარმოუდგა ის დღე, როდესაც ეს ვასილი გახდება იმპერატორიკას მესაიდუმლოთ. ხოლო მაშინ... მაშინ, თქმა აღარ უნდა, ძლიერახლო მეგობარი ვიქნები თეოდორასიო...

— მოიცადეთ აქ! — წამოიძახა საქურისმა და გახარებული წავიდა.

გაიარა სულ რამდენიმე წამმა; ოთახის ბოლოში უცნაურ ფარდა გაიღო და წინ წამოვიდა პატარა მხიარული დედაკაცი ოქრომკედით ნაკერ კაბით, სამეფო მანტია წასოსხმული. ფეხთ ეცვა ქოშები იმპერატორულ პურპურისა. ქოშების ეს მეწამული ფერი ამტკიცებდა, რომ იგი იყო იმპერატორიკა. ხოლო მისი ამაყი თვალად-თანადობა, ყოვლად მშვენიერი სახე, ღირსებით სავსე, მედიდური მიხვრა-მოხვრა, სინარნარე, ახოვანება და ბრძანებლობის ცეცხლი, რომელიც მის მომხიბლავ შავს თვალეებში ინთებოდა, აშკარათ ამოწმებდნენ, რომ ეს არის თეოდორა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო უბრალო კაცის შვილი, შეიქმნა უწარჩინებულეს და უზღიდებულეს დედაკაცათ მთელს იმპერიაში.

თეოდორას სახიდან დაღა ხანია განქრა ის სამასხარო პრანქვა-გრება, რომელიც მან ოდესღაც შეისწავლა ამფითეატრში. მაშინ იგი იყო დათვის მოდარაჯეს აკაციის ქალიშვილი და მაშინ მისი ლამაზი სახე უფრო ჩვეული იყო მსუბუქ ქვევითი მომხიბლავობას. დღეს კი მთელი მისი არსება განხორციელებულ დიდებას წარმოადგენდა — იგი იყო ღირსეული მბრძანებელი მთელის იმპერიისა, ღირსეული მეუღლე და გულითადი მეგობარი დიდებულ იმპერატორისა.

თეოდორა მიუახლოვდა ყმაწვილს, დაადო თეთრი ფუნჩულა ზელები იმის მხრებს და ჯერ დიდხანს, ძლიერ დიდხანს ეჭვის თვალთ შესცქეროდა ბავშვის დიდრონ თვალებს. გაღვიძებულ სიყვარულის ტალღებმა თან და თან უფრო გამსქვალეს დედის გული, მეტადრე მაშინ, როდესაც ბავშვის ბრწყინვალე ყუყუნა თვალეებში, ვით სარკეში, იცნო თავისი საკუთარი თვალეები. სიხარულის პირველ აღტაცებით შებყრობილმა, თავი ველარ შეიმაგრა, იგრძნო დედის გულმა, გა-



დაეხვია თეოდორა თავის სიგიჟის შვილს და ერთ წამს გულში ჩაიკრა. მაგრამ... იმპერატორობითი ძალამ, სიამაყემ მსწრაფლ დასთრგუნა მშობელი დედის გრძნობა, დროებითი სუსტი გული. იმპერატრიცა ისევ დიდებამ დაძლია, უკუ აგდო თავის სიყრმის შვილი, მშვენიერი ლომსაი და მორიგ დარაჯებს ხელით ანიშნა—მოსულეები თავიდან მოეშორებინათ.

—

საჭურისი ვასილი მოწიწებით დასცქეროდა თავის ბრძანებულ ქალს, რომელიც გადასვენებული იყო ბალიშებზე და გულ-შეღონებული, ხშირის სუნთქვით სულს ძლივს და ითქვამდა... უცბათ თეოდორას მოაგონდა საჭურისი ვასილი, ყველა ამის მოწამე და გულმა რაღაც განსაცდელი იგრძნო. ქალის ალლო მიუხედა საჭურისს — ერთი კი შეჭხედა თვალეში და წამსვე წაიკათხა მისი ფარული მუქარა.

— მე შენს ხელთა ვარ! — მიმართა აღელვებულმა თეოდორამ საჭურისს — მხოლოდ ეს კი იცოდე, რო ღმერთმა დაგვიფაროს! არას გჯულისთვის იმპერატორმა არ უნდა გაიგოს რაიც დღეს აქ ამბავი მოხდა.

— მე მონა ვარ თქვენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფე — მოახსენა საჭურისმა და თან ორჭოფოვან ჩაიღიმა — თუ კი თქვენი სურვილია, რომ იმპერატორმა არა იცოდეს რა, განა ვინ ვაჭბედავს ამცნოს რამე...

— მერე, ეგ ბერ-მონაზონი, ეგ ყმაწვილი?

— არის მხოლოდ ერთი გზა — მიუგო საჭურისმა.


თეოდორას ელდა ეცა, შემკრთალმა საჭურისს მიაპყრო შეშინებული თვალეები, მაგრამ იგი საჭურისი ხელით იატაკზე ანიშნებდა, უჩვენებდა.

ღიახ, საოცრათ მორთულს, დიდ მშვენიერ სასახლის ქვეშ, სარდაფებში ბევრი რამ საშინელება ხდებოდა. ამ ქვესკნელში ჭრატთა მკრთალ სინათლეზე, ენა მოჭრილი მონები, მოჩვენებასავით დეიარებოდენ. მხოლოდ ესენი, ეს მღუმარე შავი ზანგები იყვენ მოწამენი, იმ საცოდაობისა, იმ საშინელ წივილ-კივილისა, რომელსაც ამ ბნელეთში ტანჯულწამებულნი აწარედ, უიმედოთ გაიძახოდენ...

აი საითკენ უთითებდა ეს ბოროტი სული საჭურისი ვასილი.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



ალექსანდრე სარაჯიშვილი



აიბადა 1851 წელს. გარდაიცვალა 1914 წ. თიბათ-
ვის პირველს.

როგორც ხედავთ კარგა ხნიერი კაცი იყო, მთლათ-
ქალარით მოსილი, მაგრამ შეხედულობა ჭაბუკს მიუგავდა.
ყოველთვის მხნე, მამაცი, ყოველთვის საქმიანი და მოაზრე,
თავის ქვეყნისთვის დაუღალავი მოჭირახულე სიცოცხლით
იყო სავსე.

რომელ საქმეს ქართულს დაასახელებს კაცი, რომ ალექს-
ანდრე სარაჯიშვილი იმ საქმის მესვეურთა შორის არ ყო-



ფილიყო? მწერლობაში „რწმ-ბაბის“ ფსევდონიმით მუშაობდა და არა ერთი მშვენიერი, სხარტული, იუმორით სავსე წერილი დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. კარგათ მცოდნემ ფრანგულის და ნემეცურის ენებისამ ალექსანდრემ ამ ენებით ნათარგმნით გააცნო ქართველი მკითხველი ევროპიულთა მწერალთა საუკეთესო პოეზიას და პროზის ნაწარმოებს. „ჯეჯილის“ რედაქციაც მთელი სამი წლის განმავლობაში 1904, 1905 და 1906—7 ხშირათ ჰბეჭდა ალექსანდრეს ისტორიულ მოთხრობებს: „თეიმურაზ მეფის კურთხევა“, „ვახტანგ მეხუთე მეფის მეჯლისი“ „ვახტანგ მეხუთე მეფის დარბაზობა“ და სხვა ენებიდან ნათარგმნ საბავშვო ზღაპრებს, მოთხრობებს და მდაბიურათ გადმოკეთებულ სამეცნიერო წერილებს. სხვათა შორის ყურადღების ღირსია მისი „ნასწავლი კაკაბი“, „მეფე თაღლით ფულასარ“, „მეფე კარიუხ“, „უზინარა“ და მრავალი სხვა. მას ჰქონდა დაბეჭდილი საკუთარი მშვენიერი ამბავი: „ყუმბარა“ და ნათარგმნი ფრანგულიდამ ლავისის მსოფლიო ისტორია.

მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო შრომა ალექსანდრემ მოანდომა ჩვენის დიდებულის მგონის შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას და იმის გამოკვლევას, თუ რაას-ცხრა ასის წლის განმავლობაში ხელით გადაწერის დროს, გადამწერელთ როგორ შეერყვნათ პოეტის მარგალიტებრივი, ბრწყინვალე ლექსი თავიანთ უგვარო ჩამატებით და განმარტებით და ამ თაღლითების ჩამოშორებით უაღრესათ გააბრწყინვალა შეუღარებელის რუსთაველის უკვდავი პოემა.

თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი თითქმის შეუჩერებლივ ქართულ ისტორიულ-ეტნოგრაფიულ საზოგადოების საქმეებს მოანდომა, ამ საზოგადოების მუზეუმის საძიკვლის ჩაყრას შეაღია და დიდი, თვალსაჩინო საქმეც აღაყვავა, ალექსანდრე ამ მუზეუმის და საზოგადოების ხაზინადრათ ითვლებოდა, მაგრამ საქმიანობით კი ნამდვილი დედაბოძი იყო ამ საზოგადოებისა და უზომო სიყვარულით იკვლევდა იმის ძველ ხელთ-ნაწერებს, მოგზაურობდა მთელ საქართველოში და ყოველგან დაეძებდა ძველი ცხოვრების



ნაშთს, რომ ისინი მუზეუმში მოეთავსებინა და ყველასთვის ნათლათ დაენახვებინა, რომ წარსულში ჩვენი ცხოვრება მშვენიერებას და ხელოვნებას არ იყო მოკლებული. მისი საქმის მიყოლა იქამდის მიადწევდა, რომ თუ ვისიმე ოჯახში შეიგულებდა ძველ ნივთს, ნახატს—მუზეუმისთვის გამოსადეგს იმ ოჯახს მოსვენება აღარ ექმნებოდა, წერილებს უგზავნიდა, დაუზარებლათ, რამდენჯერმე თავის ფეხით მივიდოდა იმათ ოჯახში და უნდა გენახათ ნაბოძარ ნივთს რა სიხარულით გააქანებდა მუზეუმში.

და ყველა ამისი მომქმედი, ასე შეურყევლათ და თავგამოდებით მშრომელი აღექსანდრე თითქმის უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისა. იმას არ უყვარდა ყვირილი და თავის გამოჩენა, ის შრომობდა ქართულ საქმეთა სიყვარულით და არა თავის თავის განდიდების სურვილით.

ჩუმი იყო აღექსანდრეს შრომა და ნაყოფიერი. მხოლოდ შობავეალი დააფასებს იმის უანგარო ღვაწლს და უკვდავთ ჰქმნის იმის სახელს.

ე. ბ.



მაქსიმე ივანოვი



(ჯესკოვას)

სოფელ იამინოვში გაჩნდა ცეცხლი... საზარელი, უდიდესი ცეცხლი. თორმეტი ქოხი თავის მოწყობილობით იყო გახვეული ცეცხლის ალში. ალი ღელავდა ზღვასავით, ბოლი ადიოდა შავათ. ქარს შორს მიჰქონდა ნაპერწკლები, ალ-მოდებული მუგუზლები. ყვირილი, კვნესა. ყოველ მხრიდან მოისმოდა ვილასიც ტირილი, მოუხეშავი, გულ-ცივი გინება, გულსაკლავი ხვეწნა, მიშველების თხოვნა და გულ-ცივი, მშვიდობიანი ბრძანება „დაანგრიეთ ყველაფერი“, — ყველა ერთდებოდა ერთ საზარელ, საშინელ ყვირილში...

სოფელში ახალგაზრდა ქალი დარბოდა, იგლეჯდა თმებს და ტირილით და გოდებით, ვველას ეხვეწებოდა მიშველეთო თუ ღმერთი გწამთო.

— ვაიმე ჩემო შვილებო! ძვირფასო შვილებო!.. მიშველეთ! ვისაც ღმერთი გწამთ, მიეშველეთ ჩემ შვილებს!.. ყვიროდა ქალი და გიჟური გამომეტყველ თვალებით შესცქეროდა ხალხს. თავზე მანდილი გადახდოდა, თმები ასწეწოდა და ნამდვილათ ჭკუა-შეშლილს ჰგავდა.

— უშველეთ ჩემ შვილებს! — კვლავ ჰყვიროდა იგი და არაფერი არ გაეგებოდა ისე მირბოდა. ჰაერში კი გაისმოდა მისი ტირილი, ვაება და ხვეწნა-მუდარა — შვილები გადამირჩინეთო.

ყველას ებრალებოდა საწყალი დედაკაცი, გულით ყველა ცდილობდა მიშველებოდა, მაგრამ ცეცხლში შევარდნა, სიცოცხლის გაწირვა... ამ გვარი სიმამაცე კი არავის ჰქონდა.



დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა: ზოგი კასრებს მოათმობდნენ, ზოგი ცულებს, ზოგი ნიჩბებს, — თითქოს ამაებს რამე დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, მაგრამ უსაჭიროესი რამ — ცეცხლის საქრობი მილი კი სოფელ იამინოვში არ იყო ..

ყველა ყვიროდა, ჩოჩქოლობდა...

ალი კი ერთ სახლიდან მეორეზე გადადიოდა... ქარს გადაჰქონდა აქეთ-იქით ალ-მოდებული მუგუზლები... ყვავები, გამოფრენილნი თავიანთ განადგურებულ ბუდეებიდან ჩხავილით დასტრიალებდნენ ცეცხლს.

— შვილებო ჩემო... შვილებო! — შეჰყვირა ერთი კიდევ: სასო-წარკვეთილებით ქალმა თავის სახლს რომ მიუახლოვდა. და ხელების ფშვნეჭით, ცრემლებ მორეული მიწაზე დაეცა უგონოთ.

უეცრათ ხალხი აღელვდა და უკანა რიგი წინას მიაწვა... გაისმა ყვირილი, ყვირილი რაღაც განცვიფრებისა და იმავე დროს თითქოს სიხარულისა.

დაბალი ტანის გლეხმა, ხალათში გამოწყობილმა და უქუდომ, გაარღვია უბრალოთ მაყურებელი ხალხი, რომელიც შეშინებული შესტკეროდა ცეცხლს და სწრაფათ მივიდა ცეცხლ-მოდებულ ქობთან.

— ილოცეთ, მართლ-მადიდებელნო! — დაიყვირა მან ხმა. მალლა და სწრაფათ აცოცდა ბანზე თოკის კიბით, რომელიც მიმაგრებული იყო კუთხეში, სადაც ჯერ არ იყო მოდებული ცეცხლი, აცოცდა და ჩაეშვა ქობში...

თითქოს ერთმანეთს ანიშნესო, ხალხი უეცრათ გაჩუმდა... ყველა გაფაციცებით ელოდა, როდის გამოჩნდება გაბედული გლეხი ქობშიო...

გლეხი მალე გამოჩნდა სახლის სახურავზე... პატარა გოგონა ეჭირა, სულ სამი წლისა თუ იქნებოდა. ვინ იცის დამხრჩვალცი იყო კიდევ... გლეხს ხელზე გადასვენებული ჰყავდა...

— გამომართვით, ჩქარა გამომართვათ! — ხმა მალლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუყვირა ხალხს ამ გამბედავმა კაცმა. ერთმა ახალგაზრდა გლეხმა ჩამოართვა ბავშვი...

— იქ კიდევია — დაიძახა ამ უცნობ კაცმა და ხელ-მეორედ ჩაიმალა ბოლში და ცეცხლის ალში.

სამარისებული სიჩუმე შეიცვალა რაღაცნაირ გასაოცარ ხმაურობით. მაგრამ მალე სიხარულის ყვირილი ხელ-მეორედ შეწყდა... და ხელ-მეორედ გამეფდა სიჩუმე. შიში ყოველ წუთით მატულობდა, მასთანვე მატულობდა შიშის გრძნობა, რომ გამბედავი უცნობი კაცი შესაძლოა სიცოცხლეს გამოესალმოს.

სულ-გაკმედილი ყველა მოუთმენლათ უცდიდა და გულ-წრფელათ პირჯვარს იწერდა.

თუთხმეტმა წუთმა გაიარა მოლოდინში, უცნობი კი არსად სჩანდა. ახალგაზრდა გლეხმა, რომ ბავშვი მოასულიერა მივარდა სწრაფათ ცეცხლ-მოდებულ ქოხსა, მაგრამ რა წამსაც ფეხი შესდგა კიბეზე, მაშინვე სახლის სახურავზე გამოჩნდა ის უცნობი გლეხი-კაცი. მას ხელში რაღაცა ეჭირა, ჩვრებში გახვეული...

— დაიჭი ჩქარა... მე უნდა კიბეზე ჩამოვიდე, თქვა მან ხრინწიანი ხმით და გადასცა თავისი ტვირთი ახალგაზრდა გლეხს.

ორთავემ დაიწყეს კიბეზე ჩამოსვლა... ახალგაზრდა გლეხმა მოასწრო მშვიდობიანათ ჩამოსვლა სახლის სახურავიდან, მაგრამ მეორემ, უცნობ კაცმა თავდადებულმა და გამბედავმა კი დაიგვიანა ერთი... მხოლოდ ერთი წუთით...

შუა კიბეზე იყო, უეცრათ ცეცხლი მოედო მთელ სახურავს... უცნობი შებოძიკდა, შეინძრა და მოჰკიდა ხელი სახლის სახურავის ერთ კოქს... მაგრამ სწორედ ამ წუთს, რაღაცამ საშინლათ დაიტკაცუნა და ის კოქი ჩამოვარდა მიწაზე... მასთან ვრთათ ჩამოვარდა უცნობი კაციც...

ერთი წუთით მთელი ხალხის ბრბო, თითქოს გაშეშდა, მხოლოთ ერთი წუთით... უეცრათ სიჩუმე შეიცვალა რაღაცნაირ გასაოცარ ხმაურობით... ყველა აღელვდა... გაექანენ წინ... ყველა ახმაურდა და ეტაკენ ცეცხლ-მოკიდებულ ქოხის სახურავს.


დაანგრიეს... უცნობი უგრძნობლათ ეგდო... ფხვები დამტვრეოდა... სახე დასახიჩრებოდა. მარცხენა ხელი სულ დამსხვრეული ჰქონდა...



მკვდარი მაშინვე წაიღეს სოფლის ეკლესიაში. სამი დღის შემდეგ, როგორც გამოირკვა, გამბედავი უცნობი კაცი იყო გორკელი გლეხი, მხატვარი მაქსიმე ივანოვი, რომელიც ქალაქში მუშაობდა და ყოველ შაბათობით, უქმე დღეობით, მიდიოდა სახლში, საცა მას ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. ამ სოფლის გზა კი მიდიოდა სწორეთ იამინოვზე, რომელიც მხოლოდ თუთხმეტი ვერსით დაშორებული იყო გორკედან.

(იაჩგმანო)

გიორგი მალრაძე



დიდებული თეთრი კაცი

(ლაფინგსტონის მოგზაურობა).



ბამბის დასართავ ქარხანაში, ქალაქ
გლაზგოს გარეშო ადგილებში, ერთ
მანქანაზე მუშაობდა ათი წლის
ბიჭი მეტათ გამხდარი და ღარიბათ
ჩაცმული, ყმაწვილის მამა ვაჭრობდა
ჩაით, დედა კი მთელ თავის ჯან-ღონეს ახმარებდა
ოჯახს და მის გამოსაკვებათ ზრუნავდა.

როდესაც ყმაწვილმა პირველათ მიიღო თავის
კვირის ნამუშევარი ფული მაშინვე იყიდა ლათინური გრამა-
ტიკა და დიდი გულმოდგინეთ დაიწყო სწავლა. ჯერ თავის
თავათ სწავლობდა, მერე სალამოს, სკოლაში დაიწყო სიარუ-
ლი, იქ რჩებოდა რვა საათიდან ათ საათამდის. სახლში რომ
დაბრუნდებოდა განაგრძობდა შუალამემდის სწავლას, სანამ
დედა არ წაართმევდა წიგნს და დასაძინებლათ არ გაავდებდა.
დილით ექვს საათზე უნდა კვლავ სამუშაოთ წასულიყო.

მანქანებს ქარხანაში რახა-რუხი გაჰქონდა, წელიწადები
გარბოდა. ყმაწვილი გულ მოდგინეთ სწავლობდა, ბევრი ლა-
თინური წიგნები ვაღიკითხა, მაგრამ მას ყველაზე საყურად-
ღებოთ მოგზაურობის აღწერა მიაჩნდა. აღტაცებით კითხუ-
ლობდა უცხო ქვეყნების და ხალხის ამბებს.

მან არ იცოდა რომ ბოლოს ბევრი მოგზაურობა მოუხ-
დებოდა. ფიქრათაც არ გაიტარებდა, რომ მთლათ მთელ სი-
ცოცხლეს მოან ღომებდა შორეულ საოცარ ქვეყნებში, ვე-
ლურთა შორის, ხეტიალს, ყმაწვილმა მაშინ არც კი იცოდა იმ
ქვეყნების არსებობა, წარმოდგენაც არა ჰქონდა აფრიკის შუა-
გულ ადგილებისა, რომელიც მან ბოლოს გამოიკვლია. პატა-
რა დავით ლიფინგტონს მაშინ ეს ფიქრათაც არ მოუვიდოდა.



ჯერ კიდევ ძველ დროში ცდილობდნენ ამ უცნობ ადგილების გამოკვლევას, მაგრამ შრომა ფუჭათ ჩაუვლიდათ. რომაელებმა ამაზე ანდაზაც კი გამოიგონეს: „ისე ვერ შეიტყობ, მაგას, როგორც ნილოსის სათავეს“, მაგრამ ბოლოს შეუძლებელი შესაძლებლათ გახადეს.


1800 წლებში ლონდონში დააარსეს შუაგულ აფრიკის გამოსაკვლევათ და იმ ადგილებში აღებ-მიცემობის გასაცხოველებლათ საზოგადოება. სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ ინგლისელებს. მაშინ შუაგულ აფრიკის რიგიანი რუკაც კი არ მოიპოვებოდა, არ იცოდნენ არა თუ მისი ათასი სოფლები და მილიონი ხალხის ამბები, ისიც კი — თუ რა და რა მდინარეებია, ტბები, მთები, ტყეები და სხვა. ევროპიელთა წინ თითქოს ამართული იყო მაღალი კედელი და ამ კედელს იქით რა იყო წარმოდგენაც არა ჰქონდათ?

ბევრი გამგებდავი მოგზაური წასულა, მაგრამ დაბრუნება აღარ ღირსებია. ამ ევროპიელთა დაღუპვის მიზეზი ყოფილა: გარეული მხეცები, ველურები და დამპალი ციებ-ცხელები.

ზემო ნათქვამ საზოგადოებამ შუაგულ აფრიკაში წასასვლელათ, მდინარე ნიგერის გამოსაკვლევათ, მოაწყო მოგზაურნი. ამ დღემდის სრულებით არა იცოდნენ რა ამ მდინარის შესახებ, რომელიც აფრიკის დასავლეთში მიმდინარეობდა, არც სხვა მდინარეებზე: ნილოსზე, კონგოზე და ზამბეზეზე.

პირველათ სამი ინგლისელი გაემგზავრა და მხოლოდ ერთი დაბრუნდა სამშობლოში და არც არაფერი შესანიშნავი რამე აღმოაჩინა. ერთი ინგლისელი მუნგო პარკი ორჯელ წავიდა აფრიკაში, ორჯელვე შემოუარა მდინარე ნიგერს და ველურებთან ბრძოლაში ამსხვერპლა თავი. შემდეგ გაემგზავრენ ერთი ინგლისელი და ერთი ნემეცი, სხვა და სხვა მხარედან გაუდგენ გზას. არ გასულა დიდი ხანი, რომ ორივენი დაიხოცნენ. ინგლისიდან ხელ-ახლათ გაგზავნეს მკლევარნი, ორჯელ ბევრი ფულიც დახარჯეს, უმეტესი ნაწილი მათგანი დაიღუპა, მაგრამ მაინც საწადელს ვერ მიაღწიეს. საერთოდ დაღუპულ მოგზაურთა რიცხვი დიდ ძალი იყო.

როდესაც მდინარე რიგერი ცოტათი მაინც გამოიკვლიეს,



მდ. ნილოსის ხეობა.



ხელ ახლათ მოჰყვენ მერე მდინარე ნილოსის სათავეს გამოკლევას. ორივე მხრივ გაგზავნეს ხალხი გამოსაკლევად — ერთი თეთრი ნილოსის მხარეს, მეორე ლურჯი ნილოსის. მაგრამ ამ დიდებულ მდინარეს სათავე ვერ უპოვეს.

ასობით მკლევარნი და მოგზაურნი აფრიკას გარშემო უვლიდნენ, ბევრი ახალ-ახალი ადგილებიც აღმოაჩინეს, მაგრამ ყოველი ახალი ნაბიჯი მეტათ ძვირათ უჯდებოდათ.

აფრიკა კი მაინც გამოურკვეველი და საიდუმლოთ მოცული ქვეყნათ დარჩა-თეთრი ხალხისთვის.

ბოლოს მაინც არაფერ არ იცოდა ვინ აღმოაჩენდა შუაგულ აფრიკის ადგილებს!

ამავე დროს ქარხანაში ბავშვი განაგრძობდა სწავლას და მთლათ თავის თავისუფალ დროს ახმარებდა ბატანიკის (მცენარეთა სამეფოს) შესწავლას. მას მიზნათ საექიმო ნაწილი ჰქონდა ამორჩეული, რადგან სწადდა მისიონერთათ წასვლა და ამისთვის ექიმობა დასჭირდებოდა. როგორც მცოდნე ექიმი უფრო ადვილათ ფეხს მოიკიდებდა უცხო ადგილებში, უცხო ხალხში.

ასე ფიქრობდა ქარხნის პატარა ბიჭი. მისი დედ-მამა ღვთის-მოყვარე იყო, მასზედაც მემკვიდრეობით გადავიდა ღვთის მოყვარება და ყმაწვილმა გადასწყვიტა მთლათ თავისი სიცოცხლე შესწიროს დაბეჩავებულ და დაჩაგრულ ხალხს. ყმაწვილი ოცნებობდა იმისთანა შორეულ ქვეყნებში წასვლას, სადაც აქამდის თეთრ ხალხს, მის მოძმეებს, ფეხი არ შეეღდა და იქ ქრისტიანობა გაევრცელებინა. პირველათ ჩინეთში დააპირა წასვლა.

ყმაწვილმა წიგნი მიიბა მანქანას, რომელზედაც მუშაობდა და ისე დახელოვნდა, რომ მუშაობის დროს წიგნს ადვილათ კითხულობდა, მერე იმ აუტანელ ხმაურობის დროს და გამომაყრუებელი მანქანების გრიალში. ბოლოს ეს ისეთ ჩვეულებათ გაუხდა, რომ ახერხებდა დღიურის წერას იმ დროს, როდესაც გარშემო ცეკვამდენ და მღეროდენ ვეოურები.

როდესაც ყმაწვილი 18 წლისა შესრულდა სამუშაოთ სხვაგან გადაყვახეს და ჯამაგირიც მოუმატეს. ის გროშს გროშზე ადებდა და ისე აგროვებდა ფულს, სანამ იმდენი არ მოაგროვდა, რომ ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტში არ შევიდა.

ზამთარში ღვთის-მეტყველობას და ექიმობას სწავლობდა, სხვა დროს ქარხანაში მუშაობდა და საზამთროთ ფულს ინახავდა. ამ ხანში მისთვის არავის არც ერთი გროშით ხელი არ გაუმართავს. „მე ჩემი ბედისა კმაყოფილი ვარ, თუმცა სიყმაწვილეში ბევრი ხელმოკლეობა და შეწუხება გამოვიარე. ახლაც, საჭირო რომ იყოს ხელ-ახლათ დავიწყობდი აღრინდელ გაჭირებულ ცხოვრებას. იტყოდა ლივინგსტონი.

ამას ჩინეთში ვერ მოუხდა წასვლა. ატყდა ომი ინგლისელთა და ამ სახელმწიფოთა შორის და ამან თავისი სურვილი ვერ აისრულა, მერე ის დათანხმდა მისსიონერთა საზოგადოების პირობებზე და იგი გაისტუმრეს სამხრეთ აფრიკაში.

II

რამდენიმე თვე დაჰყო მან კურუმანში, მერე შუაგულადგილებში წავიდა, დასახლდა იქ, იქაური ხალხის ენა შეისწავლა და გულმოდგინეთ მუშაობდა მათ შორის, მაგრამ ის ერთ ადგილას ვერ გაჩერდებოდა, უნდოდა უფრო შორს წასვლა.

ერთხელ, მოგზაურობის დროს, ლივინგსტონმა გაიგო, როგორ მისი მხლებლები ერთი მეორეს ეუბნებოდა, ეგონათ რომ ამ თეთრ კაცს არ ესმოდა მათი ლაპარაკი. „ღონე არ შესძლებს მაგ კაცს, ბევრს ვერ ივლის, შეხე რა გამხდარია, შალვარი თოფრაკივით ჰკიდია ზედ. დიდხანს ვერ გაუძლებს ამ მოგზაურობას“. ლივინგსტონში თავმოყვარეობამ გაიღვიძა. იგი რამდენიმე დღეს შეუსვენებლივ მიემგზავრებოდა ისე, რომ მისი თანამგზავრნი პატივისცემით შეჰყურებდნენ მას და ვასზე აზრი გამოიცვალეს.

მეორეთ ესენი გზაზე შეეფეთენ ლომს. ლივინგსტონმა ესროლა თოფი, მაგრამ ასცდა. ლომი ერთ წამს მივარდა და თავისი ბასრი კლანჭები მხარში გაურჭო, მერე კაციც და პირუტყვიც მიწაზე დაეცენ. ლივინგსტონის ყურთან მოიძმოდა საშინელი ღრინვა, მაგრამ როგორც თითონ გვიამბობს მას. სულაც არ შეშინებია, იმას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სიზმარში იყოსო. მის თანამგზავრებმა რამდენჯერმე თოფი დაახალეს ლომს და ისე მოჰკლეს. ლივინგსტონს მთელ თავის სი-



ცოცხლეში არ დავიწყებია ეს ამბავი, ან როგორ დავეწყდებოდა ლომის თერთმეტი კბილის ნიშნები თავის მხარზე.

დიდ ხანს მუშაობდა ლივინგსტონი, როგორც ექიმი და როგორც ღვთის-სიტყვის მქადაგებელი და სულ ჩრდილოეთისაკენ მიიწეოდა, სახლებს და ქოხებს აშენებდა, თხრილებს იღებდა და სადამ სადამოობით ისეთივე დაღლილობას გრძნობდა, როგორც მანქანაზე მუშაობის შემდეგ.

მას თან და თან ეღვიძებოდა სურვილი აფრიკის შუაგულ ადგილებში ფეხი მოეკიდნა, რომ უმეცარ და უბედურ ხალხში ღვთის რწმენა შეეტანა. ადგილების გამოკვლევა აუცილებლათ საჭირო იყო. „მე გადავსწყვიტე, რომ უსათუოდ გამოვიკვლიო ეს ქვეყნები“. ამბობდა ლივინგსტონი.

თავდაპირველათ მისი სურვილი იყო ეშველნა ღარიბთათვის, რომელნიც უმეცრებით შებყრობილნი საცოდავ მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილნი. ლივინგსტონი ერთ-ადგილიდან მეორეში გადადიოდა და ექიმი და მისსიონერი გახდა შეცნეირი, —გამომკვლეველი მთელი ქვეყნებისა და სახელოვანი მოგზაური.

III

1849 წელს დავით ლივინგსტონი პირველათ გაემგზავრა იმ მიზნით, რომ გამოიკვლიოს აფრიკის შუაგული.

მას გაჰყვენ მისი ცოლი, აფრიკის კოლონიის მისსიონერის ქალიშვილი და ლივინგსტონის სამი შვილი. მათთან ერთად მოგზაურობდნენ ორი ინგლისელი. ეს მოგზაურობა შვიდი წელიწადი გაგრძელდა, მხოლოდ ცოტა ხნობით ისვენებდნენ: დიდრონ ურმებში კამბეჩები შეაბას და მოგზაურნი წავიდნენ ჩრდილოეთისაკენ, გაუვალ ტყეებში, სადაც ხეების ტოტები ისე გახლართულნი იყვნენ, რომ ტანისამოსი დაუხვეველი არ გადურჩებოდათ. უწყლობა ხომ უმოწყალოდ ტანჯავდა მათ, სხვა და სხვა მოჩვენებები ელანდებოდათ. ლივინგსტონმა ამ ხანაში აღმოაჩინა სრულებით უცნობი ტბა ნგამი, მდინარე ზამბეზის სათავე იპოვა და იქიდან ჩამოვიდა კებტუანში. თერთმეტი წლის მოგზაურობის დროს პირველათ მოუხდა ყოფნა ცოტაოდნათ განათლებულ ქალაქში. აქედან თა-

ვისი ცოლ-შვილი გაგზავნა ინგლისში, აღარ უნდოდა მათი შევიწროება და ან საშიშარ მდგომარეობაში ჩაგდება და დაპყრდა ამ ორ წელიწადზე განახეთო, მაგრამ კაი ხუთი წელიწადი გავიდა, სანამ თავიასიანებს ხელ-ახლათ ნახავდა. ქალაქ კებტუანში ვარსკვლავ მრიცხველობას მიჰყო ხელი და მერე გასწია ჩრდილოეთისაკენ, შუაგულ აფრიკის გზის საპოვნელათ.


ლივინგტონს მეტათ აღეოვებდა და აწუხებდა ზანგების მონათ გაყიდვა, იმითი ვაჭრობა, რომელიც იმ დროს აფრიკაში ისე გავრცელებული იყო. არ იყო იქ არც ერთი კუთხე, რომ ზანგს უშიშრათ, თავისუფლათ ეცხოვრნა. და ეს მდგომარეობა ას-ას წლობით გრძელდებოდა.

ლივინგტონს და სხვა მოგზაურებს ენახათ და გაეგოთ ამის შესახებ ბევრი ამბები.

აფრიკის უმწეო თემებს მოულოდნელათ დაეცემოდენ მონებით მოვაჭრე არაბები, მოსულები იყვენ უფრო ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკიდან და შიშის ზარს სცემდენ. ვაჭრები იყიდდენ ძვირფასს სპილოს ძვლებს და მათ გადასატანათ ზღვის პირამდის ესაჭიროებოდათ მონები. მონებზე მონადირენი კაი განწყობილებაში იყვენ მდიდარ არაბთა ვაჭრებთან. ქარაფანი მიდიოდ-მოდოდა ზღვის-პირა ქალაქებიდან აფრიკის შუაგულ ქვეყნებამდის, სადაც გამართული იყო უმთავრესი ვაჭრობა მონებით. ჩვეულებრივ მონით მოვაჭრე არაბები დასახლდებოდენ რომელიმე თემთა შორის, ვითომდა კეთილი განძრახვით, ცოტ-ცოტა ყიდულობდენ სპილოს ძვლებს, ეშვებს აგროვებდენ და როდესაც გორებათ აიტანდენ—უბრალო საქმეზე ასტეხდენ ჩხუბს, ცემა-ტყეპას და ქლფტას. საბრალო ადგილობრივ ხალხს ხოცავდენ უმოწყალოთ, გაღუწვამდენ სახლ-კარს და ცოცხლათ სტოვებდენ მხოლოთ იმათ, ვინც გამოადგებოდათ თავიანთი ნაშოვნის სიმდიდრის გადასატანათ წყლის ნაპირამდის.

გაფანტულნი თემები ძნელათ თუ შეერთდებოდენ თავის თავის დასაცვლათ; არაბებმა ეს კარგათ იცოდენ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ ეს თემები განეშორებინათ ერთმანერთისაგან.

თუ რომელიმე თემი აღმოჩნდებოდა ძალოვანი და მდი-



დარი იმ თემს სრულებით აჰლგვიდენ დედა-მიწიდან დიდ-
 ხანი არ არი, რომ ნიასის ტბასთან არაბებმა თოთხმეტსა და
 ფელი გაანადგურეს და ტყვეთ წაიყვანეს ათასობით ხალხი.
 ვინც ცოცხალი გადურჩათ გაიყვანეს ბალახიან ვაკეზე და ცე-
 ცხლი წაუკიდეს. თუ ვინმე დააპირებდა გაქცევას თოფს
 ახლიდენ. ამ გვარი უბედურება წლიდან-წლამდის ხდებოდა.

ამაზე კიდევ უარესა ღღეც აღდგებოდათ უბედურებს: მონე-
 ბათ წაყვანილებს ზოგჯერ ათასსზე მეტს გაატარებდენ უდაბნო-
 ებზე და წყურვილი ამათვის სიკვდილზე მეტათ საშინელი იყო.
 ხის მძიმე უღელს დაადგამდენ, რომელიც კისერს მძიმეთ აწვე-
 ბოდა და უბედურებს ფეხის გადადგმაც მეტათ ეძნელებოდათ.
 ბავშვები ერთმანერთზე თასმებით იყვენ გადაბმულნი და მათ
 თავზე მოისმოდა მუღამ შოლტის გუგუნი. ვინც უკან ჩამო-
 რჩებოდა და ველარ დადიოდა—მას ჰკლამდენ ყველას თვალ-
 წინ, ან არა და გარეული მხეცების გასაგლეჯათ ტოვებდენ
 გზაზე და ეს საცოდავები თავს ვერც-კი უშველიდენ, ბორკი-
 ლის გამო ვერ ინძრეოდენ. მაშინ აფრიკაში გზების და ბი-
 ლიკების ნაპირებზე ხშირათ შეხვდებოდით ადამიანების ჩონ-
 ჩხებს კისერზე უღელით. ეს ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო,
 რომ არავის აწ აღელვებდა.

„მე მომესმა ერთხელ ამ მონების სიმღერა, გვიამბობს
 ლივინგსტონი.— იცით მერე რა უხაროდათ? იმედი, რომ სა-
 კვდილის შემდეგ სამაგიეროს გადუხდიან... ჰო, შენ ხომ ზღვის
 ნაპირისკენ გამაგდე, მღეროდენ ისინი, მაგრამ როცა მოვკვდე-
 ბი, უღელი მომეხსნება, მძვალ შენთან და სასიკვდილოთ და-
 გტანჯავ.“ მერე ეს უბედურები სათითაოთ ჩამოსთვლიდენ
 თავიანთ მტანჯველებს.

ასე განაგრძობს ლივინგსტონი: „ამ მხარეში საშინელი
 სენით ხდებიან ავით—ეს არის სამშობლოს სიყვარულის სე-
 ვდა. ყველა მონა თითქმის ამითი არის ავით და ამ ნალვლით
 კვდებიან კიდევ. ყმაწვილები უფრო სიმამაცეს იჩენენ, მაგ-
 რამ გაიგებენ თუ არა სიმღერას და ან დოლ-ნალარის დაკვ-
 რის ხმას შორიდან, თავისიანების მხრიდან, იმ ადგილებში
 გავლის დროს, მაშინვე აუტყდებათ სევდა-ნალველი, თავის
 ოჯახს იგონებენ და სამუდამოთ ჰკარგავენ სიმშვიდეს. მე რო-
 გორც ექიმი, ამბობს ლივინგსტონი, ხშირათ შეხვდებოდი ადა-



მიანის უბედურების ნახვას, მაგრამ ის ნაღველი, რომელიც მონებით ვაჭრობა გამოიწვევდა ჩემში—მეტათ აუტანელი იყო. ახლაც, ღამ-ღამეობით რომ წარმომიდგება მონების გაქირებული ცხოვრება, ძილი მეკარგება და შეწუხებული წამოვარდები ხოლმე ზეზე

ლივინგსტონი ხელ ახლათ გაემგზავრა შუა გულ აფრიკაში. ამხანაგებთან მოლაპარაკების შემდეგ დაადგა იმ აზრს. რომ ჯერ უნდა წასულიყო დასავლეთისკენ, ატლანტიული ოკეანის კიდევბისკენ. ეს მოგზაურობა უფრო საშიში იყო, ჯერ თეირს ფეხი არ შეედგა ამ ადგილებში. ლივინგსტონმა თავისი დღიური წიბაბრა ერთ სანდო პირს და ძმას მისწერა, რომ თუ ცოცხალი არ დავბრუნდე ჩემ პატარა ქალს უპატრონო. მას მტკიცეთ გადაწყვეტილი ჰქონდა ან აფრიკა უნდა გამოვიკვლიო და ან თავი შევაკლა ამ საქმესო.

ამ ადგილებში ურმებ-კამბეჩებით ვერ იმოგზავრებდა დავით ლივინგსტონი. დიდი ხნის აუარებელი ბილიკები მიდი-მოდოდა სოფლებისაკენ, ერთი თემიდან მეორემდის. ზოგი გზები გათელილი იყო მონებით-ვაჭრებისაგან, ზოგი ბილიკი ისეთი ვიწრო იყო, რომ ერთი კაციც ვერ გაივლიდა, მაშინ სჭირდებოდათ გზა-გზა გაუვალ ტყის გადაჩეხა და ან მაღალი ბალახის მოთიბვა. გზებზე ხშირათ წააწყდებოდნენ ვარეულ მხეცებისთვის დაგებულ ხაფანგებს. ნელის ნაბიჯით და დიდი სიფრთხილით მოუხვდებოდათ ამ მოგზაურობა.

დავით ლივინგსტონმა ცოტა მოიცადა სანამ ჰაერი ავრილდებოდა და 27 ადგილობრივი მცხოვრებლებით, რომელნიც თოფებით შეიარაღებულნი იყვნენ, თუმცა მისი ხმარება არ იცოდნენ, გაემგზავრა. მგზავრები ნავებში მოთავსდნენ და მდინარე ზამბეზას მაღლა აუხვევს. ნაპირებზე სულ ხშირი ტყე და მაღალი ლერწამი იყო. საქმელს ძნელათ შოულობდნენ, ისიც მხოლოთ იმ ადგილებში, სადაც გზაზე სუფლები დაუხვდებოდათ. მერე გაემგზავრენ სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

დაიწყო წვიმები. ლივინგსტონს აუტყდა ციება, გზა ისევ გაუვლელ ტყეზე მიდიოდა. სოფლებს იშვიათათ თუ ხედავდნენ, მდინარე ზამბეზა და კონგოს შუა დაშმორებული ქაობები იყო. ბოლოს მიადწიეს იმ სოფლებს, რომელნიც ექვემდებარებოდნენ პორტუგალიას, მაგრამ იქაურმა მკვიდრმა მცხო-



ვრებლებმა ავის თვალით შეხედეს ამათ. მონების მყიდველ ვაჭრებათ მიიჩნიეს. რამდენჯერმე ვაი ვაგლახი და ჩხუბი ატყდა, ლივინგსტონი თავის გულ კეთილობით და აღერსით ყოველთვის მშვიდობას ჩამოავდებდა. მარტის თვეში მოგზაურნი მიაღდგენ ერთ თვალ მომტაც ხეობას და შვიდი დღის შემდეგ შევიდნენ პორტუგალიის ქალაქში—სახელდობრ ლონდონში, რომელიც ატლანტიის ოკეანეს ნაპირს იყო.

ლივინგსტონი ციებით მეტათ დასუსტებული იყო და მოსარჩენათ ერთ ინგლისის ოჯახში მოთავსდა. „ჩემ დღეში არ დავიფიწყებ რა სიამოვნება ვიგრძენ სუფთა ქვეშაგებში რომ ჩავწეკი ექვსი თვის ხეტიალის და მიწაზე გდების შემდეგ“.

ინგლისის მებღვაურნი მოდიოდნენ მის სანახავათ და სთხოვდნენ სამშობლოში წაგიყვანთო. ლივინგსტონმა გადაჭრით უარი უთხრა. თავისი თანამოგზაურნი უნდა ისევ უკანვე თავიანთ სამშობლოში მიეყვანა. გარდა მაგისა, მას უნდოდა უსათუოთ მიეგნო მდინარე ზამბეზის უმთავრესი სათავე. მას შეურყეველათ გადაწყვეტილი ჰქონდა აფრიკის ყოველი კუნჭულის გამოკვლევა. ხუთი თვის შემდეგ ლივინგსტონი წამოვიდა ლონდიდან და ხელ-ახლათ გაუდგა გზას აღმოსავლეთით, ტყე-ღრეებში. „მე ხშირათ ვხედავდი დილა აღრიანათ სხვა და სხვა მშვენიერ სანახავებს: ნოყიერ მწვანე მდელოზე თამაშობდნენ თხები. მათვე გვერდზე იქვე ისხდნენ მეველე ბიჭები და პატარა შვილდ-ისარით თამაშობდნენ.“

დედაკაცები ლიტრებით მხრებზე ტანის რხევით მრდიოდნენ მდინარისაკენ. ბანანის ჩრდილ ქვეშ ისხდნენ თეთრ თმიანი ჰალარა მოხუცებულები და დილის სიგრილით ტკებოდნენ, იქვე მუშაობდნენ და ფაცი-ფუცში იყვენ ახალგაზრდა კაცები. აფრიკის ნათელი მზით არე-მარე მოფენილი იყო ხოლმე.

მოგზაურნი რა გზითაც წავიდნენ, ისევ იმ გზით დაბრუნდნენ. მშვიდობიანათ იმგზავრეს. მხოლოთ ციება აწუხებდა არა თუ ლივინგსტონს, თვით შავ-კანიან თანამგზავრებსაც. მათი მშვიდობით დაბრუნება ყველას ისე გაეხარდათ, თითქოს მკვდრეთით აღგნენო. მათ იმგზავრეს თითქმის ორი წელიწადი და ყველას ესენი დაღუპულათ მიაჩნდა.

ან. წერეთლისა.

(დასასრული შემდეგ)

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

უფგელდღიური სამაღიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ერქინული
გეგლირთიქს

სახალხო ფურცელი

წელიწადი მეხუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

ს ა მ ს წ ი გ ნ ს.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ-გარედ 1 მან. 25 კაპ.

ფაქკ ნომერი უფელგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

ფოხტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ
НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З. Горделадзе.

ი 366/1



ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მესამე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4 მან.**, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5 მან.**

ნახევარი წლით **3 მან.**, ცალკე ნომერი **40 კაპ.**

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—«ჯეჯილის» რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

- ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძეს.
- მინაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს.
- სამტრედიისში**—რაჟდენ ნანეიშვილს.
- სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
- ჭიათურაში** ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის **1914** წლის ხელის მოძვერლებს
ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის
საჩუქრათ გაეგზავნებათ
დასურათებულ ვიგნი.

„კუნწულა“